ალია

N135/3065/ 16 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი — ქრონიკა
სამშაბათი — ალია
ოთხშაბათი — ალია
ხუთშაბათი — ალია
პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან

## განათლების მინისტრს ხსნიან?

რა ფაქტებით დაინტერესდა პარლამენტის განათლების კომიტეტი?



## ქვეყანაში კონსტიტუციური გადატრიალება მზადდება?



## „რა მოხდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს კულუარებში?



# მთავარი მიზეზი, რის გამოც ივანიშვილი საჯაროდ გამოჩნდა

## „სითი პარკის“ მიერ ახალი ნომრების გამო დაჯარიმებულებს თანხები უკან დაუბრუნდებათ?




## „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი აქციებისთვის ემზადება და ბიძინა ივანიშვილს მიმართავს



## შსს-მ აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოსა და თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ყვარლის რაიონში, ლენტეხსა და თბილისში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში, აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე 4 პირი დააკავეს: 1974 წელს დაბადებული მინდია გ., 1975 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისა და ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი ბაქარ მ., 1967 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისა და ნარკოდანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი მამუკა გ. და 1970 წელს დაბადებული ვიტალი ჩ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 3 აგვისტოს ვიტალი ჩ., რომელიც დაზარალებული ოჯახის ნათესავია და მათთან მძღოლად მუშაობდა, დაუკავშირდა თავის მეგობარ მინდია გ-ს და შესთავაზა, ჩარქსელიანების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა განეხორციელებინათ. მან აცნობა მინდია გ-ს, რომ დაზარალებულები სახლში ინახავდნენ დიდი ოდენობით ფულსა და ძვირფასეულობას. ასევე, გაურიგდა, რომ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ნაწილი მისთვის მიეცათ.

მინდია გ-მ დაგეგმა და თანამზრახველებთან ერთად განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა. ისინი 25 აგვისტოს, აბაშიძის ქუჩაზე, ჩარქსელიანების ოჯახს თავს დაესხნენ. დიასახლისსა და სტუმრად მყოფ ქალბატონს ხელ-ფეხი შეუკრეს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით სახლიდან გაიტაცეს დიდი ოდენობით ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, 100 000 ლარი, 30 000 ევრო, 30 000 აშშ დოლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნაყაჩაღარი ძვირფასეულობა და თანხის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას ასევე ამოღებულია ბუპრენორფინის შემცველი დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება. (ფრონტნიუსი)

## სასამართლომ გიორგი აბაშიძე სამართალდამრღვევად ცნო



ბათუმის საქალაქო სასამართლომ ასლან აბაშიძის შვილი გიორგი აბაშიძე სამართალდამრღვევად ცნო და მას 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა. მოსამართლის თქმით, აბაშიძეს შემოწმების შედეგად ნარკოტიკული საშუალების, „მეტადონის“ მოხმარება დაუდგინდა. პროცესს ასლან აბაშიძის ვაჟი არ ესწრებოდა.

არსებული ინფორმაციით, ის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სამკურნალოდ მოსკოვში გაემგზავრა.

გიორგი აბაშიძე სამართალდამცველებმა ბათუმში, სასტუმრო „შერატონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე 12 სექტემბერს დააკავეს. (ნიუპოსტი)

## დიღმის მასივში ასაკიანი ქალბატონი ლიფტის შახტაში ჩავარდა




დიღმის მასივში, მე-6 კვარტალის 22-ა კორპუსში ლიფტის ბაგირი ჩაწყდა, რის შედეგადაც ხანშიშესული ქალბატონი შახტაში ჩავარდა. ჩავარდნილი ქალბატონი შახტიდან სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებმა ამოიყვანეს.

ექიმების განცხადებით, დაშავებულს მარჯვენა ფეხის მოტეხილობა და სხეულის დაჟეჟილობა აღენიშნება.

დაშავებული 60 წლამდე ასაკის ქალბატონი თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამის სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ. (ფრონტნიუსი)

## 22 ბაგა-ბაღში გაფუჭებული ხორცი აღმოაჩინეს



სამტრედიის მუნიციპალიტეტის 22-ვე ბაგა-ბაღში საკვებად უვარგისი ხორცი აღმოაჩინეს. როგორც სამტრედიის ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელი აცხადებს, ხორცის მიმწოდებელმა მის ვარგისიანობასთან დაკავშირებით დასკვნა არ მიაწოდა, რის გამოც დაეჭვდნენ და ბაღების შემოწმება გადაწყვიტეს. მისივე თქმით, გაფუჭებული ხორცის გამო შენობებშიც კი არასასიამოვნო სუნი იდგა.

თავად ხორცის მიმწოდებლები ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ პროდუქტის სათანადო შენახვა თავად ბაღებში ვერ უზრუნველყვეს. (ფრონტნიუსი)

## თბილისის „მშვიდობის ხიდი“ მსოფლიოს ულამაზესი ხიდების ნუსხაში მოხვდა



მსოფლიოს 35 ულამაზეს ხიდს შორის, თბილისის „მშვიდობის ხიდიც“ მოხვდა. არაორდინარული ხიდების რეიტინგს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის განსაკუთრებულად გამორჩეული კონსტრუქციები ამშვენებს.

„მშვიდობის ხიდი“ საფეხმავლო ხიდია მდინარე მტკვარზე, თბილისში, მეტეხისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის. ის ერთმანეთთან აკავშირებს ერეკლე მეორეს ქუჩასა და რიყეს. ხიდი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, თბილისის მერიის დაკვეთით, 2009-2010 წლებში აიგო, ოფიციალურად კი 2010 წლის 6 მაისს გაიხსნა. მისი არქიტექტორი იტალიელი მიკელე დე ლუკია, ხოლო განათების დიზაინერი ფრანგი ფილიპ მარტინო, რომელიც ასევე შსს-ს ახალი შენობის, პრეზიდენტის სასახლისა და ტელეანძის განათებების ავტორია. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ქუთაისში ავარიას ერთი ადამიანი ემსხვერპლა



ქუთაისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, სამი პირი კი დაშავდა. დაშავებულები მკურნალობის კურსს კლინიკურ საავადმყოფოში გადიან. შემთხვევა ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მოხდა, სადაც „ჰონდას“ მარკის ავტომობილი ბოძს შეეჯახა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ქუთაისის ფილიალში განმარტავენ, რომ საავადმყოფოში გადაყვანილი პირებიდან ერთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო.

„ერთ-ერთი მათგანი კომაში იმყოფებოდა. სასწრაფოს სამი ბრიგადა მუშაობდა იმისთვის, რომ დაშავებულები საავადმყოფოში გადაეყვანათ. 18-19 წლის ბავშვები იყვნენ. დიდი სიჩქარით მოძრაობდნენ“, – განაცხადა სასწრაფო დახმარების სამსახურის მენეჯერმა მაია რუხაძემ.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

## შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებს ინციდენტი მოუხდათ



გურჯაანის ე.წ. „გლეხურ ბაზარში“ ინციდენტი მოხდა. საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამართალდარღვევათა გამოვლენის სამმართველოს თანამშრომლები: ივერი წურწუმია, ლევან ზაქარაძე, დავით დანელია და ნიკოლოზ გვენეტაძე 2014 წლის 13 სექტემბერს მივლინებით კახეთის რეგიონში იმყოფებოდნენ.

„გურჯაანში, ბაზარში არსებულ სტაციონარულ სავაჭრო ობიექტებში სალარო საკონტროლო აპარატის გამოყენების წესების დაცვის კონტროლის პროცედურის განხორციელებისას გაირკვა, რომ ი/მ მალხაზ ჩალათაშვილი სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ ხორცის რეალიზაციას სალარო აპარატის გარეშე ეწეოდა, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს. სამართალდარღვევის ოქმის შედგენის დროს გადამხდელმა უკმაყოფილება გამოთქვა, რასაც მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე მეწარმეების შეკრება და მათი მხრიდან წინააღმდეგობა მოჰყვა. გარდა ამისა, მოვაჭრეები აცხადებდნენ, რომ საგადასახადო მონიტორინგის ოფიცრები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სამართალდარღვევათა გამოვლენის სამმართველოს მთავარი ოფიცრის, დავით დანელიას მიერ მოხდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოძახება, რის შედეგადაც ადგილზე გამოცხადდა კრიმინალური პოლიცია და სამართალდარღვევათა გამოვლენის სამმართველოს ოფიცრები ივერი წურწუმია და ლევან ზაქარაძე პოლიციის შენობაში გადაიყვანეს. დავით დანელია და ნიკოლოზ გვენეტაძე საკუთარი ნებით გამოცხადდნენ პოლიციის შენობაში.

პოლიციის შენობაში ივერი წურწუმიას, ლევან ზაქარაძეს, დავით დანელიასა და ნიკოლოზ გვენეტაძეს ჩაუტარდათ ალკოტესტი. ტესტის შედეგად დადგინდა, რომ ისინი იმყოფებოდნენ ფხიზელ მდგომარეობაში.

ი/მ მალხაზ ჩალათაშვილის მიმართ შედგა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, სსკ-ის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სსკ-ის 270 მუხლის შესაბამისად შეეფარდა სანქცია – გაფრთხილება. (ნიუპოსტი)

## „ივანიშვილმა თავად შექმნას მედია ჰოლდინგი და გვაჩვენოს სტანდარტი“



ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, ყოფილი და მოქმედი პრემიერების მხრიდან მედიაზე გაკეთებულ განცხადებებს აფასებს და მიიჩნევს, რომ ყველა ხელისუფლებისთვის მედიის თემა გარკვეული სახის ტკივილია.

„არ მეგულება არც ერთი მეთაური რაიმე ტიპის ხელისუფლების, რომელსაც არ ჰქონდეს მედიის აღქმა, როგორც პირადი კბილის ტკივილი, არც ქართული ხელისუფლება იქნება, რასაკვირველია, გამონაკლისი. მოგეხსენებათ, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მან დაადო ვეტო ქართულ პრესას და აუკრძალა სახელმწიფო დაწესებულებებს ქართული გაზეთების გამოწერა. ორჯერ მქონდა შესაძლებლობა მაშინდელი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის მეთხოვა, ექსპერტთა თანდასწრებით, რომ მოეხსნა ეს ვეტო და მიეცა საშუალება სახელმწიფო მოხელეებისთვის, რომ მათაც სცოდნოდათ ის, რაც იცის მოსახლეობამ, ცხადია, არა იმიტომ, რომ ჩვენი პრესა უცოდველია და ისინი მხოლოდ ჭეშმარიტებას საუბრობენ, მაგრამ ხომ უნდა იცოდეს სახელმწიფო მოხელემ ის, რაც ინფორმაციის სახით აქვთ ჩვენს მოქალაქეებს. რატომღაც ვეტო შენარჩუნებულ იქნა. უმჯობესი იქნება, თუ ივანიშვილი მოახერხებს, თავად შექმნას მედიაჰოლდინგი, რომელიც გვაჩვენებს იმ სტანდარტს, რომლისკენაც ის მიილვწის, აღდგება ტელეკომპანია „მე-9 არხი“, დაარსდება რადიოსადგური „მე-9 არხი“, დაარსდება საინფორმაციო სააგენტოები „მე-9 არხი“ და ა.შ. გავიგოთ, რა პრინციპებისა და რა ხარისხის პროფესიონალიზმის მომთხოვნია ივანიშვილი, ზოგი გაიზიარებს, ზოგი – არა, ყოველ შემთხვევაში კერძო საკუთრებაში კონტროლიორის სახით არავინ შეიჭრება“, – განაცხადა ცისკარიშვილმა. (პირველი რადიო)

## „პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს სათანადო სამუშაო სივრცე“



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საქართველოს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის იმ განცხადებას პასუხობს, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი, პრეზიდენტის რეზიდენციაში არასაჭირო ფართს იყენებს და აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ეკონომიკური კითხვები. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია მხარეებს მოუწოდებს, საკითხი განიხილონ პოლიტიკურ ჭრილში და ნუ დაიყვანენ მას სამეურნეო თემამდე. „საქართველოს პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას უნდა ჰქონდეს სათანადო სამუშაო სივრცე, სადაც განახორციელებს საკუთარ კომპეტენციასა და უფლებამოსილებებს. შეგახსენებთ ასევე იმასაც, რომ ყოფილ პრეზიდენტს ემსახურებოდა რამდენიმე რეზიდენცია. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ყველაზე უარი თქვა, მხოლოდ და მხოლოდ დატოვებული იქნა ეს რეზიდენცია და აშენების მომენტიდან ის ემსახურებოდა პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელებას. პრეზიდენტის ადმინისტრაცია პირველივე დღიდან განთავსებულია აქ. ის არც გადმოსულა და არც გადასულა. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, ის გადმოვიდა საკუთარ ადმინისტრაციასთან და განმარტა, რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება. ყოველთვის საკითხის განხილვა უნდა მოხდეს პოლიტიკურ ჭრილში, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების ჭრილში და არ უნდა იქნას დაყვანილი სამეურნეო თემებამდე“. – განაცხადა პატარაიამ. (პირველი რადიო)

# „რა მოხდა „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს კულუარებში?



14 სექტემბერს ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, მურმან დუმბაძე პარტია „ქართული ოცნებიდან“ გარიცხეს. აჭარის უმაღლესი საბჭოს სამმა დეპუტატმა – ალექსანდრე ჩიტიშვილმა, მედეა ვასაძემ და ჯემალ ფუტკარაძემ კი საყვედური მიიღო. პოლიტსაბჭოს სხდომაზე ამ გადაწყვეტილებების შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა და აღნიშნა, რომ მურმან დუმბაძე აჭარის მთავრობის საქმიანობაში უხეშად ერეოდა, რამოდენიმეჯერ იყო გაფრთხილებული, მაგრამ მაინც არ გაითვალისწინა.

სანამ მურმან დუმბაძეს პარტიიდან გარიცხავდნენ, ამას წინ უძღოდა კულუარული ბატალიები და ასევე კულუარული შეხვედრები. როგორც თავად დუმბაძე ამბობს ტელევიზიით გამოსვლისას, ის ირაკლი ღარიბაშვილმა მიხეილ სააკაშვილთან ალიანსში დაადანაშაულა:

„ვიყავი, შევხვდი ბატონ პრემიერ-მინისტრს. ბატონმა ირაკლიმ მითხრა, რომ თქვენი ეს განცხადება, რომ თქვენ დატოვებთ პოლიტიკურ პარტიას, რომ იმპიჩმენტის პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს, რომ ხელისუფლება აჭარაში უნდა შეიცვალოს, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ უნისონი, მიხეილ სააკაშვილი იმყოფება ქვეყნის ტერიტორიის გარეთ და ძალიან დიდი ალბათობაა, ეჭვი გვაქვს, რომ თქვენ მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობაში ხართო. მე ვუთხარი: ამ ადგილზე უნდა გაჩერდეთ – „სტოპ“! გავაჩერე. თქვენგან ასეთ შენიშვნას ვერ მივიღებ, მაშინ ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. მითხრა – მაშინ თქვენ თავისუფალი ხართ, გარიცხული ხართ პოლიტიკური პარტიიდან“!

„ალია“ პერიოდულად წერდა, როგორ ცდილობდა მურმან დუმბაძე აჭარაში ბიძინა ივანიშვილის მიერ დანიშნული არჩილ ხაბაძის მოშორებას. ღარიბაშვილმა ხუთჯერ სცადა მისი შეჩერება, ხან მოფერებით, ხან მკაცრი ტონით, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. ბოლო შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრი უკვე იმ დონემდე მივიდა, რომ ხელი ჩაიქნია და დუმბაძეს უთხრა: „კი, ბატონო, გააკეთე, რაც გინდა, დაიწყე მთავრობის იმპიჩმენტის პროცედურა, ვნახოთ, რა გამოგივა“.

მურმან დუმბაძემ, რატომღაც, ეს მწვანე შუქის ანთებად ჩათვალა და დაბრუნდა თუ არა ბათუმში, ხელახლა შეუტია მთავრობას. მეტიც, ის ახლა ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდებს, კარგად წაიკითხოს კონსტიტუცია:

„როცა ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ მურმან დუმბაძე მთავრობის საქმიანობაში, საკადრო და სამთავრობო პოლიტიკაში, უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში ერევა, უნდა წაიკითხოს საქართველოს კონსტიტუცია. ჩემი კონსტიტუციური მოვალეობაა, ჩავერიო ხელისუფლების შორის ბალანსში, სახელისუფლებო ურთიერთობებში, საკადრო პოლიტიკაში. მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი, ვიცე-სპიკერი. ეს არის ჩემი პირდაპირი მოვალეობა და ამაში მიხდის ხალხი ხელფასს“.

**კი, ბატონო, პარლამენტი უნდა აკონტროლებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ კონსტიტუციაში დეტალურადაა გაწერილი, როგორ, რა შემთხვევებში და რატომ. აქ მურმან დუმბაძის უფლებებზე, რომ საკადრო პოლიტიკაში უნდა ჩაერიოს, საერთოდ არ არის საუბარი. რა ხდებოდა 14 სექტემბერს პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ამის შესახებ „ალიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ესაუბრება:**

– პოლიტსაბჭოს ბოლო სხდომა ძალიან მძიმე იყო ჩემთვის. როდესაც საქმე ეხება თანაპარტიელის გარიცხვას, ამას აუღელვებლად ვერ შეხედავ. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ მურმან დუმბაძე თვეების განმავლობაში აკეთებდა შეუთანხმებელ განცხადებებს და იღებდა უცნაურ გადაწყვეტილებებს. როგორც ჩანს, მისი სურვილი იყო, უმაღლეს საბჭოსა და მთავრობაში გარკვეულწილად ეკონტროლებინა სიტუაცია. როდესაც შენ ხარ კოალიციურ რეჟიმში და რაღაც საკითხები არ არის შეთანხმებული პარტიის ლიდერებთან, ასე დამოუკიდებლად მოქმედება საზიანოა. მე არ ვლაპარაკობ მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, აქ საუბარია სახელმწიფო ინტერესებზე. როცა შენ გადაწყვეტ, რომ სრულიად დამოუკიდებლად იმოქმედო და აღარ მოდიხარ შენს გუნდთან თანხვედრაში, ბუნებრივია, აქ თავს იჩენს კონფლიქტი. ამ დროის განმავლობაში მურმან დუმბაძე გაფრთხილებულიც იყო პრემიერისგან, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ როცა არ გესმის და მაინც მიდიხარ შენი გზით, მაშინ ასევე დამოუკიდებლად უნდა წახვიდე შენი გზით.

**— დუმბაძე იმუქრება, ოპოზიციაში ვიქნები და ამას პარლამენტში, ალბათ, რყევები მოჰყვებაო. კონკრეტულად რა რყევებია მოსალოდნელი?**

– მე არ ვიცი, რა რყევები უნდა მოჰყვეს? ოპოზიციაში კობა დავითაშვილიც წავიდა, გია გაჩეჩილაძეც წავიდა, მაგრამ ორივე დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩა. ერთი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, მეორე თბილისის მერობის კანდიდატი, ხომ გახსოვთ? რა თქმა უნდა, ეს ნამდვილად არ არის კარგი, ჩვენთვის დანაკლისია, მაგრამ მათ ეს გზა არჩიეს, რა ვქნათ?

**— აგვიხსენით, დუმბაძე გარიცხეთ თუ თვითონ წავიდა პარტიიდან? ის ამბობს, მე წამოვედიო.**

– მან თქვა, დააგვიანეთ, მე თვითონ დავტოვე პარტიაო. არაფერი არ დავაგვიანეთ, მას გარიცხვამდე არ გაუკეთებია განცხადება წასვლის თაობაზე. მე ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ დუმბაძე „ნაციონალების“ ფრაქციაში შევა, ამას არ გააკეთებს, თავისი შეხედულებები აქვს, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკური გუნდი მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე. ეს არ იყო ერთი და ორი დღის ნაფიქრი, მანამდეც იყო მის მიმართ გარკვეული პრეტენზიები.

**— დავით საგანელიძე აცხადებს, მურმან დუმბაძეს ვიცე-სპიკერის თანამდებობიდანაც გავიწვევთო.**

– ამ შემთხვევაში დუმბაძე ვიცე-სპიკერი არის აჭარის კვოტით. ვინაიდან ის ოპოზიციაში გადადის, ოპოზიციას აქვს თავისი კვოტა, რომელიც დაკავებულია, გია ბარამიძე გახლავთ ვიცე-სპიკერი, ბუნებრივია, ოპოზიციას მეორე ვიცე-სპიკერი ვერ ეყოლება, ეს კანონით დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ცვლილებები მოხდება. ამ ეტაპზე



**„როცა შენ გადაწყვეტ, რომ სრულიად დამოუკიდებლად იმოქმედო და აღარ მოდიხარ შენს გუნდთან თანხვედრაში, ბუნებრივია, აქ თავს იჩენს კონფლიქტი. ამ დროის განმავლობაში მურმან დუმბაძე გაფრთხილებულიც იყო პრემიერისგან, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ როცა არ გესმის და მაინც მიდიხარ შენი გზით, მაშინ ასევე დამოუკიდებლად უნდა წახვიდე შენი გზით“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მოხარული ვიქნებით, თუ რომის პაპს საქართველოში ვუმასპინძლებთ“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვატიკანის (წმინდა საყდარი) სახელმწიფოებთან ურთიერთობების მდივანს, არქიეპისკოპოს დომინიკ მამბერტის შეხვდა და განუცხადა: „მოხარული ვიქნებით, ვუმასპინძლოთ მის უწმინდესობას, რომის პაპ ფრანცისკეს საქართველოში“.

საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა ვატიკანისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება იყო. ღარიბაშვილმა მამბერტის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკისთვის მადლობა გადაუხადა. შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მრავალწლიანი ქრისტიანული ტრადიციები და ქართველი ერის ისტორიული ტოლერანტობა.

„საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქრისტიანულ სამყაროში. ქართული ეკლესია ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ ეკლესიებს შორის“, – განაცხადა არქიეპისკოპოსმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რაში ადანაშაულებს ღარიბაშვილი „ტაბულას“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ რამდენიმე დღის წინ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში საგანგაშო არაფერი არ არის. ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ ამ თემის სპეკულირებას „ტაბულა“ ახდენს.

„თქვენ ასეთი დავალება გაქვთ, არავითარი დეპარტამენტის განცხადება, იქ საგანგაშო არაფერი არ არის. ჩვენ მაქსიმალურად გამჭვირვალე ვართ და ძალიან გთხოვთ, ნუ ახდენთ ამ თემის სპეკულირებას, თქვენ ახლა ძალიან ნერვიულობთ, რომ არ მოხდა ამ თემის, ასე ვთქვათ, მნიშვნელობის მინიჭება ამ თემაზე. თქვენ დაგავალეს ბოკერიამ და ჩერგოლეიშვილმა, მაგრამ არაფერი არ მოხდება მაგით“, – უთხრა ღარიბაშვილმა „ტაბულას“.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებულია საქართველოში ოპოზიციის წარმომადგენელთა მიმართ წარმოებული გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი ბრალდებების გამო. ასევე, იმ რისკებით, რასაც პოლიტიკური დევნა საქართველოს დემოკრატიას შეუქმნის. ცნობისთვის, დეპარტამენტმა სპეციალური განცხადება 13 ივლისს გაავრცელა. (ნიუპოსტი)

## დავით ნარმანიას დედამ შვილის კარგად აღზრდისთვის „ეიფელის კოშკი“ მიიღო

თბილისის მერის დავით ნარმანიას დედას შვილის კარგად აღზრდისთვის საჩუქრად ეიფელის კოშკის მონუმენტი გადასცეს. ნორა ნარმანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის საჯარო სკოლის დირექტორმა დალილა ჩიქავამ ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დაასაჩუქრა.

ნორა ნარმანია ამავეს სკოლის პედაგოგია, კოკის სკოლაში სწავლობდა ასევე თბილისის მოქმედი მერიც. დალილა ჩიქავას განცხადებით, ეიფელის კოშკი სიმაღლეების დაპყრობასთან კავშირშია, რისთვისაც ამ საჩუქარის გაკეთება გადაწყვიტა. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

ვერ გეტყვით, დუმბაძის ადგილს ვინ დაიკავებს, ამაზე ჯერ არ გვიმსჯელია პარლამენტში. სხვათა შორის, პოლიტსაბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ რაც აჭარაში მოხდა, ეს უნდა იყოს შესწავლილი და შემდეგ მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, ანუ არ გამოვრიცხავ, დამატებითი ღონისძიებებიც იქნას გამოყენებული.

**— რას ნიშნავს დამატებითი ღონისძიებები, შესაძლოა, დაიწყოს დუმბაძის საქმიანობის გადამოწმება?**

– ნებისმიერი ფაქტი უნდა იყოს გადამოწმებული და გარკვეული, ხომ უნდა გავიგოთ, კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე? გავიგე, ყველაფერი მის გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული? მე არა მგონია. თუ უმაღლეს საბჭოში ყველა დეპუტატი მას ემორჩილება, ეს ძალიან არასწორი მიდგომაა.



„პრემიერს ჰქონდა ერთი-ერთზე შეხვედრა. მან თქვა, ადამიანურ ურთიერთობებზე ეს არ აისახება, მაგრამ ამის შემდეგ გავაგრძელებ ოპოზიციურ საქმიანობასო. პრემიერმაც აღნიშნა, რომ ყველა საკითხი შესწავლილი იქნება და ამის შემდეგ მივიღებთ სხვა გადაწყვეტილებებსაც. ამაზე კონკრეტულად უახლოეს მომავალში ვისაუბროთ“

**— დღეს არავის აქვს ილუზია, რომ მურმან დუმბაძის გარიცხვით პრობლემები მოიხსნა. მოდით, დავალაგოთ სიტუაცია, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ავთანდილ ბერიძე არის დუმბაძის ინტერესების გამტარებელი, მას ჰყავს თავისი ხალხი. დუმბაძე იმასაც ამბობს, ფრაქცია „ქართული ოცნება“ დაიშლებაო.**

– ახლა, აჭარაში ფეოდალიზმი ხომ არ არის? გამოდის, ბატონი მურმანი თვითონვე აღიარებს, რომ ყველაფერს ის აკონტროლებდა. ვერ არ შეიძლება, ერთი მაჟორიტარი დეპუტატი აკონტროლებდე ყველაფერს.

**— დიახ, დუმბაძე პრემიერს იქით უტევს, კონსტიტუცია კარგად წაიკითხე, ყველგან ჩარევის უფლება მაქვსო.**

– თუკი მთავრობასთან რომელიმე დეპუტატს აქვს პრეტენზიები, მას შეუძლია, თავისი აზრი გამოთქვას, ამას არავინ უშლის, მაგრამ აქ მეორე საკითხია – შენ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო თვითნებურად, ეს არის დაუშვებელი. ჩვენ, დეპუტატებს, კანონით არ გვაქვს საამისო უფლებამოსილება. ამას პოლიტიკურად ჰქვია თვითნებობა. ვისაც ასეთი პოლიტიკური მოქმედება არ მოსწონს და პროტესტი უჩნდება, უნდა წავიდეს გუნდიდან.

**— თქვენ კიდევ ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოს ისევ მურმან დუმბაძე მართავს? გარიცხვამდე ერთი დღით ადრე ავთო ბერიძე მიუგზავნია არჩილ ხაბაძესთან და კატეგორიულად მოსთხოვა, უნდა გადადგეო.**

– პარლამენტის წევრს არ აქვს უფლება, ასეთი მოთხოვნები წაუყენოს თანამდებობის პირს. ასე არ ხდება და შესაბამისი გადაწყვეტილებაც ამიტომ იქნა მიღებული.

**— ვინც „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზდება, ეგრევე ბიძინა ივანიშვილს მიახტება ხოლმე და ამ მხრივ, არც დუმბაძე აღმოჩნდა გამონაკლისი, ის ამბობს, რომ პოლიტსაბჭოს ივანიშვილი აკონტროლებს.**

– ეს მისი ხედვაა, მაგრამ ძალიან ცდება. მისგან უხერხულია, როცა ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს. ბატონ ბიძინას, როცა პრემიერი იყო, პირადად ჰქონდა მითითება მიცემული დუმბაძისთვის, რომ ის თავის სადეპუტატო ფუნქციებს არ უნდა გასცდენოდა და კადრების დაკომპლექტებაში არ უნდა ჩარეულიყო. დიახ, სწორედ ეს არ მოგვწონდა ჩვენ და ეს არ მოსწონდა ბატონ ბიძინას. ეს არ იყო უცაბედი გადაწყვეტილება, მას ჰქონდა რამდენიმე გაფრთხილება ბატონ ბიძინასგანაც და ბატონ ირაკლი ღარიბაშვილისგანაც. იმპიჩმენტის საკითხი უკვე იყო კულმინაცია. თუ აჭარის მთავრობაში ვინმეა გადასაყენებელი, ეს არ არის ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატის გადასაწყვეტი. რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს წევრებს, თუ ასეთი აზრი აქვთ, უნდა შეათანხმონ, მინიმუმ, პარტიის თავმჯდომარესთან და პოლიტსაბჭოსთან, ეს არის ელემენტარული საკითხი.



„უხერხულია, როცა ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს. ბატონ ბიძინას, როცა პრემიერი იყო, პირადად ჰქონდა მითითება მიცემული დუმბაძისთვის, რომ ის თავის სადეპუტატო ფუნქციებს არ უნდა გასცდენოდა და კადრების დაკომპლექტებაში არ უნდა ჩარეულიყო. დიახ, სწორედ ეს არ მოგვწონდა ჩვენ და ეს არ მოსწონდა ბატონ ბიძინას“

**— რა თქვეს უმაღლესი საბჭოს წევრებმა პოლიტსაბჭოს სხდომაზე, ისევ დუმბაძესთან რჩებიან თუ უკვე გამოეთიშნენ?**

– მათ თქვეს, რომ იღებენ საყვედურს, შენიშვნას, სწორია და იმპიჩმენტისა თუ უნდობლობის შესახებ განცხადებები გააკეთეს თვითნებურად. მიხვდნენ, რომ არ მოიქცნენ სწორად და ადგილი ჰქონდა თვითნებობას. ეს აღიარეს. ჩვენ, პოლიტსაბჭოს წევრები, ცალკე შევხვდით მურმან დუმბაძეს. მანამდე პრემიერს ჰქონდა ერთიერთზე შეხვედრა. მან თქვა, ადამიანურ ურთიერთობებზე ეს არ აისახება, მაგრამ ამის შემდეგ გავაგრძელებ ოპოზიციურ საქმიანობასო. პრემიერმაც აღნიშნა, რომ ყველა საკითხი შესწავლილი იქნება და ამის შემდეგ მივიღებთ სხვა გადაწყვეტილებებსაც. ამაზე კონკრეტულად უახლოეს მომავალში ვისაუბროთ.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

# „ვისოლისა“ და „სმარტის“ ერთობლივი გრანდიოზული აქცია დაიწყო

## იმგზავრე „ვისოლთან“ ერთად და მიიღე 10% ფასდაკლება „სმარტში“

„ვისოლისა“ და „სმარტის“ ერთობლივი გრანდიოზული აქცია დაიწყო. დღეიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით „ვისოლ ჯგუფის“ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, უნიკალურ წამახალისებელ აქციაში ჩაერთოს. „ვისოლში“ 30 ლარისა და მეტი ღირებულების საწვავის, მათ შორის ყველა დროის ყველაზე მაღალი ხარისხის „ეკოს“ პროდუქტების შეძენის შემთხვევაში კლიენტი მიიღებს ვაუჩერს, რომლის მეშვეობითაც სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“ 20 000-ზე მეტი დასახელების პროდუქტზე 10%-იანი ფასდაკლებით ისარგებლებს. ამავდროულად მომხმარებელს შეუძლია, „უნიქარდით“ ბონუს-ქულების დაგროვება როგორც „ვისოლში“, ასევე „სმარტში“.

აქცია საქართველოს მასშტაბით „ვისოლისა“ და „სმარტის“ ყველა ფილიალს მოიცავს. ფასდაკლების ვაუჩერს მომხმარებელი „ვისოლში“ 30 ლარის ან მეტი ღირებულების საწვავის ყოველ შესყიდვაზე მიიღებს. ვაუჩერის განაღდება კი „სმარტში“ 30 ოქტომბრის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.




„ვისოლ ჯგუფის“ ორი მსხვილი კომპანია – „სმარტი“ და „ვისოლი“ იწყებენ რიგით პირველ ერთობლივ აქციას. 10%-იანი ფასდაკლება სუპერმარკეტებში ძალიან სერიოზული შეთავაზებაა, განსაკუთრებით ისეთი ქსელისგან, რომელიც პირდაპირ ხარისხთან ასოცირდება. ცხადია, „სმარტს“ ვგულისხმობ. ამ ქმედებით, „ვისოლ ჯგუფს“ სურს, მადლობა გადაუხადოს მომხმარებელს ერთგულებისთვის და შესთავაზოს ისეთი წამახალისებელი აქციები, რომლებიც მათ წევრ კომპანიაში უმაღლესი ხარისხის პროდუქტისა და მომსახურების მიღების გარდა, როგორც ემოციურ, ისე მატერიალურ სარგებელს მისცემს. აქციის ფარგლებში ერთგული კლიენტი „სმარტში“ საყოფაცხოვრებო ხარჯების მნიშვნელოვან ეკონომიას გააკეთებს, თან იმგზავრებს „ვისოლის“ ყველა დროის ყველაზე მაღალი ხარისხის საწვავით და „უნიქარდის“ ქულებსაც დააგროვებს საჩუქრის მისაღებად. შესაბამისად, „ვისოლ ჯგუფთან“ ურთიერთობა მათ მრავალმხრივ სარგებელს მოუტანს. დარწმუნებულები ვართ, ამ აქციას მომხმარებლის მხრიდან პოზიტიური რეაქცია ექნება. ვდებთ პირობას, რომ ასეთი შემოთავაზებებით მომხმარებელს მომავალშიც გავანებივრებთ. საწყის ეტაპზე კი, ერთი თვით შემოვიფარგლეთ“. – **განაცხადა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.**

ცნობისთვის: „ვისოლს“ ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში და ბაზარზე უმაღლესი ხარისხის საწვავით გამოირჩევა. „ეკოს“ ყველასთვის ცნობილი პროდუქტები – „ეკო სუპერი 100“, „ეკო სუპერი“, „ეკო პრემიუმი“, „ეკო დიზელი“ და „ეკო რეგულარი“ კომპანიის ქსელში 2014 წლის თებერვლიდანაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება „სმარტს“, ის გამორჩეულია ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ფართო არჩევანითა და მომსახურების ევროპული სტანდარტებით.

„ვისოლ გჯუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ ქსელი დღესდღეობით ფუნქციონირებს თბილისში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

**ანი გიორგობიანი**

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



**რატომ დაემთხვა ქობულეთში მომხდარი „ღორის თავის“ პროვოკაცია თურქი სასულიერო პირის ვიზიტს? რატომ დასჭირდა ბიძინა ივანიშვილს საჯაროდ გამოჩენა? რას ურჩევენ გიორგი მარგველაშვილსა და ირაკლი ალასანიას?**

„ალიას“ აკადემიკოსი, თურქოლოგი **ელიზბარ ჯაველიძე** ესაუბრა:

**— ბატონო ელიზბარ, ქობულეთის ინციდენტზე მინდა გკითხოთ, რატომ დაემთხვა მაინცდამაინც თურქი სასულიერო ჩინოსნის ვიზიტს ეს ამბავი?**

– ის, რაც ქობულეთში მოხდა, როგორც ქრისტიანი, მე ამის წინააღმდეგი ვარ. არაა ეს ადამიანური ფორმა, რომ რელიგიის გამო მიაყენო შეურაცხყოფა სხვას. ამ ფაქტს რომ მოჰყვა თურქეთის რელიგიის დეპარტამენტის თავმჯდომარის ჩამოსვლა, ეს შემთხვევითი არ არის. დავიწყოთ იმით, რომ ეს ქრისტიანი კაცის გაკეთებული არაა,

**„ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა სწორი იყო, რომ არა ის, სააკაშვილის შავ ჭირს ვერ მოვიშორებდით. თვითონ ოპოზიციაშიც კი არ მდგარან ქართველები ერთად, ბოლო მომენტში იმის მიხედვით იცვლიდნენ პოზიციას, საიდან მეტ სარგებელს მიიღებდნენ. ეს არის მთავარი, რომ ამ კაცმა ეს მოახერხა. წავლენ, წამოვლენ და ივანიშვილს მიახტებიან, ზოგი თავისი განათლებით გვაწუხებს, არადა სიტყვების რახარუხის მეტი არაფრის გამკეთებლები არ არიან. არ ესმით საკითხი, არაფრის გაგნებაში არ არიან“**

იდეს. თუ მათ სურდათ მსჯელობა და უნდოდათ, საქართველო ერთიანი ყოფილიყო, ამისთვის საჭირო იყო წიგნის კითხვა და გაცნობა სიტუაციის, რა ხდება მსოფლიოში. ეს მოხდა ვიღაცის კარნახით.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ვისი კარნახით ხდება მსგავსი პროვოკაციები?**



# მთავარი მიზეზი, რის გამოც ივანიშვილი საჯაროდ გამოჩნდა

პროვოკაციაა, რომელიც შეგნებულად არის გაკეთებული. ეს იგივე სახის პროვოკაციაა, როგორც ის, აზერბაიჯანში რომ მოხდა, სტადიონზე საქართველოს რუკა რომ გადმოკიდეს. დესპოტი, გათახსირებული და „დააჩმორა“ ეს ხალხი. ახლა იგრძნეს, რა კარგია თავისუფლების ჰავა, გამოდის ყველა და აკეთებს იმას, რასაც არ უნდა აკეთებდეს. კი, ბატონო, როცა თურქეთის დელეგაცია ჩამოვიდა, ჩვენ მათ პატივით უნდა შევხვდეთ, მაგრამ ნახეთ, რა თქვა პატრიარქმა? თურქეთის ტერიტორიაზე არც ერთი მონასტერი და ძველი კერა არ მოქმედებს, სამაგიეროდ აქ უამრავი მედრესე და მეჩეთია. მედრესე რომ ააშენეს, ვინმეს ჰკითხეს? ნებართვა აიღეს სახელმწიფოსგან? მიმართეს უწმინდესს? არა, როგორც უნდა, ისე აშენებენ, ასე „უპრაგონოდ“ თუ გააგრძელებენ შენებას, ყველა უნდა დაინგრეს.

**— იმდენი მეჩეთი უნდა აშენდეს,**

– არ არის ძნელი მისახვედრი, ვისი პროვოკაცია იქნება ეს. მიხეილ სააკაშვილის დროს რატომ არავინ იღებდა ხმას? იმიტომ, რომ ის იყო

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

# ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, „მაგთიკომმა“ სტიპენდია კიდევ 11 სტუდენტს მიანიჭა

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

„მაგთიკომს“ სტუდენტების, მოსწავლეებისა და ზოგადად, ახალგაზრდების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, რაზეც თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კომპანია მათ ყველაზე ახალგაზრდული ბრენდის – „ბალის“ – სახელით არაერთ სიურპრიზს უწყობს.

რაც მთავარია, „ბალი“ თავის მომხმარებლებს ყველაზე ხელმისაწვდომ ტარიფებსაც სთავაზობს.

„მაგთიკომი“ სტუდენტებსა და მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებას ამჯერადაც განსაკუთრებულად ულოცავს – კომპანია ტრადიციას აგრძელებს და საუკეთესო სტუდენტებს სტიპენდიას ანიჭებს: თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის უმაღლესი სასწავლებლების 11 პირველკურსელი, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს, „მაგთიკომისგან“ ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100-ლარიან სტიპენდიას მიიღებენ.

გარდა ამისა, ყველა სტუდენტსა და მოსწავლეს „მაგთიკომი“ „ბალის“ კლუბში იწვევს და ყოველთვე 100 მეგაბაიტით, 30 წუთით და 100 სმს-ით ასაჩუქრებს, ასევე სპეციალურ, შეღავათიან ტარიფსაც სთავაზობს.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „ბალის“ კლუბში გაწევრიანება უფასოა და 27 წლამდე ასაკის ნებისმიერი ახალგაზრდისთვისაა შესაძლებელი.

„მაგთიკომი“ მუდმივად ზრუნავს თავის ახალგაზრდა მომხმარებლებზე და მათ საინტერესო სიახლეებს სთავაზობს.

**თათული ღვინიაშვილი, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– პირველ რიგში, მინდა „მაგთიკომის“ სახელით მივულოცო ყველა სტუდენტს დღევანდელი დღე – სწავლის დაწყება და წარმატებული წელი ვუსურვო. მათი ცხოვრების ძალიან საინტერესო ეტაპი იწყება, „მაგთიკომი“ კი უკვე მერამდენე წელია, წარმატებულ პირველკურსელებს აჯილდოებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი ქულები მიიღეს. მათ ყოველთვე დაენიშნებათ 100-ლარიანი სტიპენდია. ამასთანავე, ყველა





სტუდენტს 27 წლამდე შეუძლია, გაწევრიანდეს „ბალის“ კლუბში და ყოველთვიურად არაერთი საჩუქარი მიიღოს.

**ელენე გაბელაია, „მაგთიკომის“ სტიპენდიატი:**

– ეროვნულ გამოცდაზე უმაღლესი შედეგი ვაჩვენე, აღმოვჩნდი პირველ ადგილზე, რაც, ბუნებრივია, ძალიან მიხარია. რაც შეეხება „მაგთიკომის“ სტიპენდიას, ნამდვილად არ ვიცოდი, რომ კომპანია ერთწლიან სტიპენდიას მინიშნავდა. ახლა გავიგე და ეს მოულოდნელი და წარმოუდგენლად სასიხარულო სიახლე აღმოჩნდა. ყველა სტუდენტისთვის შემოსავალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამიტომ „მაგთიკომს“ ძალიან დიდ მადლობას ვუხდი.

**მიხეილ სახვაძე**

*მეხუთე გვერდიდან*

**რამდენიც ქართველ მუსლიმანებს დასჭირდებათო, თურქეთის რელიგიურ საქმეთა მმართველმა თქვა...**

– ჩვენ მეჩეთებს არ ვუტევთ, მაგრამ საკმარისია უკვე. ჩვენ ვიცავთ ჩვენს სარწმუნოებას, ყოველ 10 ნაბიჯზე მეჩეთია, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სალოცავები სჭირდებათ, იმას ნიშნავს, რომ ამით ჩვენი, ქრისტიანობის, განდევნა უნდათ. შეხედეთ ეკრანს, ვერც ერთ არხს ვერ ნახავთ, სადაც თურქული სერიალი არ გადის. ეს რას ნიშნავს? ეს არის სისტემა, რომელიც კულტურას ნერგავს. ახლა თურქული ესთეტიკის ისტორიას ვწერ, რადგან ძალიან მაინტერესებს, მაგრამ შენ რომ ეს სერიალები მოგაქვს, ჩვენი მასობრივი მაყურებელი მისჩერებია, მხოლოდ იმიტომ, რომ ტელევიზიები ამის გავრცელებაში ფულს იღებენ. ეს არის მეორე გზა. თუ არ აღვუდექით მათ, თურქები რას კარგავენ? არის მოთხოვნილება და გვაძლევენ ამ სერიალებს. სწორედ რელიგიითა და კულტურით ხდება ტერიტორიების დაკარგვა. მეუფე დიმიტრის ვუსმენდი, ამბობდა, ჩვენ გავხსენით ქრისტიანული სკოლებიო. ეს საჭირო და აუცილებელია. მახსოვს, როცა გამსახურდიას დრო იყო, აჭარაში ვიყავი ჩასული მუხრან მაჭავარიანთან ერთად და უამრავი ბავშვი მოვნათლეთ. ახლა იქ საშინელება ხდება. ადრე იყვნენ მუსლიმანი მშობლები და შვილები – ქრისტიანები, ახლა ყველაფერი შეიცვალა, მშობლები დარჩნენ ქრისტიანებად და შვილების უმრავლესობა ხდება მუსლიმანი.

— **ეს ტენდენცია რატომ გამოიკვეთა?**

– იმიტომ, რომ მიჰყავთ, კარგ პირობებში ასწავლიან, მოლებად ზრდიან. თუ კარგ მოლებად გაიზრდებიან, იქ დაიტოვებენ. ნუ შემოჰყავთ ეს თურქები და ნუ აგულიანებენ მათ. აჭარელი იგივე ქართველია და ვისაც რწმენა აქვს, ჰქონდეს ის რწმენა, მაგრამ ბავშვებს მაინც ნუ გაათურქებენ. ყველაზე საშიშია, როცა ადამიანები მერყეობენ და მოჩვენებითი ქრისტიანები არიან.

— **მინდა, პოლიტიკურ ნაწილზე გადავიდეთ, ბატონო ელიზბარ. ბიძინა ივანიშვილი კვლავ გამოჩნდა საჯაროდ და დაიწყო ბევრის კრიტიკა. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ის კულისებში გააქტიურდება?**

– მე ჩემი აზრი მაქვს ამ კაცზე, საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, არ გვყოლია ამ დონის ქველმოქმედი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამება აგვიშენა და უამრავი ტაძარი აღგვიდგინა. ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი გადაარჩინა. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა სწორი იყო, რომ არა ის, სააკაშვილის შავ ჭირს ვერ მოვიშორებდით. თვითონ ოპოზიციაშიც კი არ მდგარან ქართველები ერთად, ბოლო მომენტში იმის მიხედვით იცვლიდნენ პოზიციას, საიდან მეტ სარგებელს მიიღებდნენ. ეს არის მთავარი, რომ ამ კაცმა ეს მოახერხა. წავლენ, წამოვლენ და ივანიშვილს მიახტებიან, ზოგი თავისი განათლებით გვაწუხებს, არადა სიტყვების რახარუხის მეტი არაფრის გამკეთებლები არ არიან. არ ესმით საკითხი, არაფრის გაგნებაში არ არიან. ივანიშვილი პოლიტიკიდან თავის დროზე ასე ადრე არ წავიდოდა, მასზე რომ ზეწოლა არ განხორციელებულიყო.

— **რა ზეწოლას განიცდიდა და ვისგან?**

– მის ბიზნესს პრობლემები შეექმნებოდა და ნულზე დაიყვანდნენ. თავადაც ამბობდა ამას, მახრჩობენო. წესიერი კაცი იყო და ამიტომ წავიდა. მე ვერ დამარწმუნებს ვინმე, რომ ამ კაცს საქართველოსთვის სიკეთე არ უნდა. ახლა რა ხდება? ივანიშვილის მერე დარჩა ღარიბაშვილი, რომელსაც ყველაზე უფრო ქართული პოზიცია აქვს. მან რომ განაცხადა, „ნაციონალებს“ არ ველაპარაკები მე, ეგენი არ მაინტერესებსო, ეს იყო მაშინ, როცა კოჰაბიტაცია იფურჩქნებოდა. სწორედ ამ კოჰაბიტაციამ დაღუპა საქართველო. ახლა გამოდიან და ტლიკინებენ მკვლელები და უზნეო ხალხი ბოკერიას ჩათვლით. რომ არ იჭერენ, იმიტომ ბედავენ ამდენს. თუ გვინდა სიკეთე, „ნაციონალები“ უნდა აიკრძალონ. ჩვენ მერე ვეღირსებით მშვიდობას. ამ ყველაფერს ვამბობ იმიტომ, რომ ღარიბაშვილი დარჩა მარტო. არ ვურჩევ არც მარგველაშვილს და არც ალასანიას გადახრა-გადმოხრას, არც „ნაციონალებს“ კიევის მაიდანის მოწყობას, რადგან ნუ იქნებიან დარწმუნებულები, ხალხი მათკენ გადაიხრება.

— **სოციალური ფონი მძიმეა და ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ალბათ, კიდევ უფრო დამძიმდება. ხალხი გამოვა ქუჩაში?**

– ხალხი ზღვარზეა, მაგრამ ისინი გამოვლენ არა ცოცხებით, არამედ ნიჩბებით, ნიჩბებით აკუწავენ ამ ნაძირალებს. კიევი ინგრევა და ახლა „ნაციონალებმა“ შტაბი იქ გადაიტანეს, იქ ამზადებენ ჯარისკაცებს. როგორც ვატყობ, ივანიშვილის გამოსვლა იმიტომ მოხდა, რომ მან გამოხატა მხარდაჭერა ღარიბაშვილის მიმართ, რადგან ის ახლა მარტოა ხალხის პირისპირ. ეს უნდა იყოს მისი გამოჩენის მთავარი მიზეზი. ტყუილად ეფერებიან მარგველაშვილს ვიღაცები, ეს კაცი ვერ იტანს ქართველებს, ნახეთ, რას წერს ის ქართველ ერზე, როგორ შეიძლებოდა ვინმეს ხათრით მისი არჩევა? გაათახსირა საქართველო თავის წერილში, მაგრამ არ დამიჯერეს. მარგველაშვილი იგივე ბოკერიაა. არავითარი პრეზიდენტი ეგ არაა, არავის აურჩევია. ახლა მიდის პოლიტიკის თამაში. ღარიბაშვილი და რამდენიმე კაცი არის სანდო „ოცნებიდან“ მხოლოდ. ეს კოალიცია მყარი არაა, ხვალინდელ და ზეგინდელს მისჩერებია ყველა. რაც თქვა ღარიბაშვილმა, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მისი სიტყვა არ გასულიყო. თქვა, ერთსქესიანთა ქორწინებას არ დავუშვებო და სასწრაფოდ მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ათახსირებს საზოგადოებას. ხმას იღებენ კი არა, უზარმაზარი სახლები წამოჭიმეს სექტანტებმა, თანაც ისეთებმა, ამერიკაშიც რომ აკრძალულია, იეღოველს ვერაფერს ეტყვი, წავა, გიჩივლებს. ვიღაც „მყუდრო“ ოცნებობს, როდის მოვა ის მთავრობა, პატრიარქს რომ დაიჭერსო. ასეთ მთავრობას ეგ ვერ მოესწრება, მაგრამ მაგას კი ვნახავ ისეთ ნაცემს, რომ შეიძლება, ველარ მოაბრუნონ ამ ქვეყანაზე. ღარიბაშვილი რასაც აკეთებს, ქართველი ხალხის ხასიათში ზის, როგორც ჩანს, მისთვის ქართველი ხალხის აზრი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამერიკის. მან კარგად იცის, რომ ამერიკა პლანეტარული მოწყობის გზაზეა, რასაც შეხვდება, ყველაფერს სპობს. განსაკუთრებით ალიზიანებთ ერის სიყვარული.

— **ამ ფონზე, როცა „ნაციონალური მოძრაობა“, ე.წ. მთავარი ოპოზიციური ძალა, ყველანაირად ცდილობს, ტელეეკრანებიდან არ „ჩამოვიდეს“, არასაპარლამენტოები რომ ჩუმად არიან, ეს როგორ გავიგოთ?**

– ჩემთვის არის დიდი უბედურება, როცა ვამბობთ, რომ „ნაციონალები“ უმცირესობაა. ლაქლაქისა და ენის სარსალის მეტი არაფერი შეუძლიათ, უკან არ დგას არც შუბლის ძარღვი და არც ზნეობა. უნდა გამოვაცხადოთ დამნაშავეებად, რადგან დამნაშავე და მკვლელი არ შეიძლება ოპოზიცია იყოს. ეგენი ოპოზიციად გვაღიარებინეს. რა სიმდაბლეა, კაცი კალიგულაზე უარესი იყოს და დემოკრატიის შუქურად შერაცხონ, ეგ ციხეში უნდა ლპებოდეს. დასავლეთს არ აწყობს ძალა, რომელიც მის დაკრულზე არ იცეკვებს, ამიტომაც არიან ჩრდილში არასაპარლამენტოები. მათ ეროვნული ძალები არ აინტერესებთ. გარე ოპოზიციის დიდი ნაწილიც ისევ დასავლეთისკენ იყურება, აქ უნდა ამოძრავდეს ქართველი ხალხი.

— **გეგმავთ რამეს „სახალხო კრების“ ფარგლებში?**

– ცოტა ხანში საზოგადოება „ლაზარე“ შეიკრიბება და ჩვენს სიტყვას ვიტყვით, „სახალხო კრების“ ფარგლებშიც დაიწყება, აქამდე არ ვერეოდით არჩევნების საკითხებში, გაძლიერდება ძალიან მალე „კრება“ და საზოგადოებრივი აზრის წარმართვას ვეცდებით.

— **მურმან დუმბაძის პარტიიდან გარიცხვაზეც მინდა გკითხოთ, ერთ დროს თქვენთანაც იყო. ხომ არ ფიქრობთ, რომ კოალიციის დაშლა და გადაჯგუფებები დაიწყო?**

– ეგ ჩვენთან არ ყოფილა, შემოიარა ერთხელ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხმა გავრცელებულიყო. მასე ვის არ შემოუვლია. ახლა არ ვიცი, რა მოხდა იქ, მაგრამ კოალიციიდან ადამიანები წავლენ, მოვლენ, მაგრამ ძირშივე კოალიციის დაშლის პოტენციალი არსებობს. როცა სხვანაირად აზროვნებს ბატონი ლევანი და სხვაგვარად ვაზროვნებ მე, არ შეიძლება ერთი ოცნება გვქონდეს. ბერძენიშვილისა და ჩემი ერთიანობა წარმოგიდგენიათ? დაპირისპირებები არსებობს და ახლა ვისაც „სტოსი“ მიჰყავს კოალიციაში, მომავალ არჩევნებზე ქართველი ხალხი მათ არ აირჩევს.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16



**„ხალხი ზღვარზეა, მაგრამ ისინი გამოვლენ არა ცოცხებით, არამედ ნიჩბებით, ნიჩბებით აკუწავენ ამ ნაძირალებს. კიევი ინგრევა და ახლა „ნაციონალებმა“ შტაბი იქ გადაიტანეს, იქ ამზადებენ ჯარისკაცებს. როგორც ვატყობ, ივანიშვილის გამოსვლა იმიტომ მოხდა, რომ მან გამოხატა მხარდაჭერა ღარიბაშვილის მიმართ, რადგან ის ახლა მარტოა ხალხის პირისპირ. ეს უნდა იყოს მისი გამოჩენის მთავარი მიზეზი“**



**„ტყუილად ეფერებიან მარგველაშვილს ვიღაცები, ეს კაცი ვერ იტანს ქართველებს, ნახეთ, რას წერს ის ქართველ ერზე, როგორ შეიძლებოდა ვინმეს ხათრით მისი არჩევა? გაათახსირა საქართველო თავის წერილში, მაგრამ არ დამიჯერეს. მარგველაშვილი იგივე ბოკერიაა. არავითარი პრეზიდენტი ეგ არაა, არავის აურჩევია. ახლა მიდის პოლიტიკის თამაში“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## მსოფლიოში ნავთობის ფასი მცირდება




ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, ბოლო პერიოდის განმავლობაში ნავთობის ფასი მსოფლიო სასაქონლო ბირჟებზე მცირდება და დღეისთვის ნავთობის ფასი ბოლო 2 წლის მინიმუმ მაჩვენებელზე დგას. კერძოდ, 12 სექტემბრის მდგომარეობით ლონდონში Brent ნავთობის ფასი შეადგენს 97,11 დოლარს/ბარელზე, ხოლო ნიუ-იორკში – 92,27 დოლარს/ბარელზე.

ნავთობის ფასის შემცირება განპირობებული იყო ძირითადად ლიბიაში ნავთობის მოპოვების ზრდით და აშშ-დან ნავთობის ექსპორტის დაწყებით; მნიშვნელოვანია ასევე, რომ ერაყში არსებულმა კრიზისმა გავლენა ვერ მოახდინა როგორც ნავთობის მოპოვებაზე, ასევე მის ექსპორტზე. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა სანავთობო სფეროსთვის ბოლო დღეებში აშშ-სა და ევროკავშირის მიერ რუსული ნავთობისა და გაზის კომპანიებისთვის სანქციების დაწესება.

რაც შეეხება სამომავლო პროგნოზს, აქ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყნის, საუდის არაბეთის ბიუჯეტი დაბალანსებულია ნავთობის ფასზე 85 დოლარის ოდენობით ბარელზე (რუსეთის ბიუჯეტი – 96 დოლარის ოდენობით ბარელზე). აქედან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ ნავთობის ფასის კლება 85 დოლარს ქვევით არ წავა.

ნავთობის ფასის კლების პარალელურად, შემცირებულია ასევე საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე Platt's-ის (რომელზეცაა დამოკიდებული საქართველოში საწვავის ფასი) მიხედვით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფასის მკვეთრი შემცირება დაიწყო 8-10 სექტემბრის შემდეგ, ხოლო მთელი აგვისტოს პერიოდი და სექტემბრის დასაწყისი საერთაშორისო ფასები ნავთობპროდუქტებზე ერთ დიაპაზონში იყო. ფასის შემცირების მსგავსი ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში ის აუცილებლად იქონიებს გავლენას ჩვენს ბაზარზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აშშ საქართველოს მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია




საქართველოში ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება:

„ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი, რაც აისახება მთელ რიგ სხვადასხვა ფაქტორში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ დაპატიჟა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რათა მონაწილეობა მიიღოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს განხილვაში ერაყთან დაკავშირებით, რომელიც 19 სექტემბერს შედგება. ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის მინისტრები მიწვეულები არიან ვაშინგტონში, რათა მონაწილეობა მიიღონ გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების სამიტზე, რომელიც მოგვიანებით გაიმართება“, – განაცხადა ნორლანდმა. (რეპორტიორი)

# ქვეყანაში კონსტიტუციური გადატრიალება მზადდება?




ბიძინა ივანიშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას უსმენენ. საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს ივანიშვილის ეს განცხადება? საქართველოს უსაფრთხოების სამსახური არ ჰყავს, თუ ამ სამსახურში უნდა ვეძებოთ მე-5 კოლონა? ერთი რამ ფაქტია, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გატანილია მოსასმენი აპარატურა, რაც ჯერ კიდევ შს მინისტრობის დროს ირაკლი ღარიბაშვილმა „კვირის ქრონიკასთან“ ინტერვიუში განაცხადა და შინაგან საქმეთა დღევანდელმა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ „ალიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში დაადასტურა, რომ მოსასმენი პორტატული აპარატი ნაპოვნი არ არის. და მაინც, სად უნდა ვეძებოთ მოსასმენი აპარატი, რომლის გადაადგილებაც ძალიან ადვილია...

„კვირის ქრონიკამ“ ექსკლუზიური ინფორმაცია მოიპოვა და თავის დროზე წერდა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, სააკაშვილის ბრძანებით, შსს-ს მაღალჩინოსანმა შოთა ხიზანიშვილმა პორტატული მოსასმენი აპარატი კუდ-იდან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გადაატანინა. მეტიც, კუდ-იდან რამდენიმე სპეციალისტი წაიყვანა და პრეზიდენტის რეზიდენციაში ეფექტური მუშაობისთვის გამოიყო რამდენიმე ოთახი. სხვათა შორის, პრეზიდენტის რეზიდენცია იმდენად დაცულია და ისეთი მაღალი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი, რომ ამერიკელებიც კი შოკში ჩავარდნენ. შეუძლებელია პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას მოუსმინო. საინტერესოა, იცის თუ არა თავად მარგველაშვილმა საპრეზიდენტო რეზიდენციის ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ, რაშიც მილიონები დაიხარჯა? ასევე, საინტერესოა, განახორციელა თუ არა დაზვერვის სამსახურმა რეზიდენციის დათვალიერება?

**ვიდრე სამართალდამცავები გაერკვევიან, ვინ ვის უსმენს და მომავალში ვინ აპირებს შიგნიდან ციხის გატეხას, ექსპერტი მამუკა არეშიძე „ალიას“ კითხვებს პასუხობს და საკმაოდ საინტერესო ფაქტებს იხსენებს:**

**— რას ემსახურება ბიძინა ივანიშვილის ეს ინტერვიუ, ვინ არის მისი სამიზნე, გარდა მარგველაშვილისა?**

– ბიძინა ივანიშვილი დიდი პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციაში ჩნდება. მან დაინახა, რომ ვითარება ჩიხშია შესული. თუ არ ვცდები, რიგით მესამე გამოსვლაა ასეთ კონტექსტში. ივანიშვილს ახასიათებს კონკრეტული ივანიშვილმა მყარად გადაწყვიტა და განაცხადა, არ მინდა ჩემი ტელევიზია გახდეს სალაპარაკოო. საერთოდ ვთვლი, რომ მას ზედმეტი ცერემონიალობა ახასიათებს, რომ ვიღაცამ რაღაცა არ თქვას, რაც საქართველოში არ გამოდის. გააჩნია, შენ როგორი ხარისხის ტელევიზიას თუ სხვა მედიასაშუალებას გააკეთებ. სხვათა შორის, როცა ბადრი პატარკაციშვილმა „მთავარი გაზეთი“ გააკეთა, შეიძლება ვიღაცას ის არ მოსწონდა, მაგრამ ტირაჟმა იმატა და საზოგადოება კმაყოფილი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის მიზეზი, რის გამოც ივანიშვილმა თავის მედიასაშუალებაზე უარი თქვა, ჩემთვის მიუღებელია.

**— ინტერვიუში მან დაადასტურა, რომ საავტორო გადაცემას გააკეთებს, თვლით, რომ მისი მხრიდან ეს კარგი იდეაა?**

– მე არ ვთვლი, რომ ეს კარგი იდეაა, ტელეწამყვანობა საკმაოდ რთული პროფესიაა, რომელსაც გამოცდილება სჭირდება. ფუნდამენტური ცოდნის გარდა, რაც ქართულ ტელესივრცეში უცხო ხილია, სერიოზული გამოცდილება უნდა გქონდეს. ამ ასაკში ამ საქმის კეთების დაწყება ბევრ უხერხულობასთან იქნება დაკავშირებული და შეიძლე-



**„ხაზგასმით ვიმეორებ, რომ ძალოვან სტრუქტურებში არა მხოლოდ შსს-ში, არამედ პროკურატურაში, თავდაცვის სამინისტროში, დარჩენილია მე-5 კოლონა, რომელიც სხვის პოლიტიკურ დაკვეთაზე მუშაობს და ეს სხვა, რასაკვირველია, არის „ნაციონალური მოძრაობა“. სამწუხაროდ, ამ მე-5 კოლონას ვერაფერი მოუხერხეს. ამიტომ სულ არ მიკვირს, რომ ივანიშვილს უსმენენ“**

– თქვენი გაზეთის საშუალებით არაერთხელ გააკრიტიკე უსაფრთხოების სამსახური, მართალია, ჩემი კრიტიკის საფუძველი იყო რელიგიური საკითხები, მაგრამ ვთვლი, რომ უსაფრთხოების სამსახური თავისი მოწოდების სიმაღლეზე ვერ არის

ლი თემის აღება და მისი ბოლომდე მიყვანა. თემა სწორია თუ არა, ეს მეორე საკითხია. ჩვენ ხშირად გვქონია კამათი, რამდენად სწორია მისი მხრიდან ამ თემის მის თავზე აღება. ის ყოველთვის ცდილობდა თავის აზრზე დარჩენილიყო. ახლაც იგივე სიტუაციაა. ამ გზავნილებში რამდენიმე ძველია, ვგულისხმობ იგივე მედიასთან მიმართებას. მას არასოდეს მოსწონდა ქართული მედიის ძირითადი საშუალებების პათოსი.

**— ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის რამდენიმე გადაცემას მედიამფლობელებსა და ჟურნალისტების გამოაშკარავებას მიუძღვნის, არადა, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა საშუალება, საკუთარი ტელევიზია დაეტოვებინა სიპირწონედ.**

– ეს მისი ხასიათის თვისებაა, მან მყარად გადაწყვიტა, რომ თავზე არ მოეხვია თავისი ტელეპროდუქტი საზოგადოებისთვის, ამაზე მის გარშემო დიდი კამათი იყო, მაგრამ ბა დროში წააგო. მე არ მგონია, რომ ივანიშვილს ამის დრო ჰქონდეს, რა მიზანიც მას აქვს, რომ ამ გადაცემით მოახდინოს ეფექტი, თავისი ფილოსოფია განავრცოს, პირველივე ნაბიჯებიდან ნამდვილად ვერ მოხდება, გაუჭირდება. ამიტომ, თუკი თავიდანვე ეს გადაცემა არ იქნება ეფექტური, გახდება აგდებისა და კრიტიკის საგანი, მე პირადად არ მინდა, რომ მის მიმართ გაჩნდეს აგდებული დამოკიდებულება.

**— ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას უსმენენ და ამის მტკიცებულებად მოიყვანა სწორედ იმ გადაცემაზე სატელეფონო საუბარი, რომელიც, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ ადამიანს გაანდო ტელეფონით. ერთი მხრივ, ჭიკაიძესა და მის უწყებას აქებს და მეორე მხრივ, აცხადებს, რომ მას უსმენენ, რა ხდება?.. ან უსაფრთხოების სამსახური არ მუშაობს, ან ისევ სააკაშვილის კადრები უსმენენ. ორივე შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახური მოიჭოკლებს.**

და ბიძინა ივანიშვილი რომ ამას ამბობს, პრაქტიკულად ეს არის კატასტროფა. როცა ის მოსმენებზე ლაპარაკობს, ივანიშვილს უსმენენ ახლაც და უსმენდნენ მაშინაც, როცა ის პრემიერი იყო. უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობა კი მისი გუნდის კრეატურაა, პრინციპში... ხაზგასმით ვიმეორებ, რომ ძალოვან სტრუქტურებში არა მხოლოდ შსს-ში, არამედ პროკურატურაში, თავდაცვის სამინისტროში, დარჩენილია მე-5 კოლონა, რომელიც სხვის პოლიტიკურ დაკვეთაზე მუშაობს და ეს სხვა, რასაკვირველია, არის „ნაციონალური მოძრაობა“. სამწუხაროდ, ამ მე-5 კოლონას ვერაფერი მოუხერხეს. ამიტომ სულ არ მიკვირს, რომ ივანიშვილს უსმენენ. ერთი ფაქტი ვიცი ზუსტად, ვიცი, როგორ მოუსმინეს ახალციხის ერთი კონკრეტული ფაქტის გამო ბიძინა ივანიშვილს, სხვათა შორის, ეს მოხდა აგვისტოში... მე არ მაქვს უფლება, კონკრეტული დეტალები გაგიმხილოთ, მაგრამ გიდასტურებთ, რომ ზუსტად ბიძინა ივანიშვილს მოუსმინეს, როდესაც მას მოახსენეს კონკრეტული ამბავი სამცხე-ჯავახეთზე ტელეფონით და

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსთავში ძლიერი წვიმის შედეგად მიყენებულ ზარალს ითვლიან



14 სექტემბერს ძლიერი წვიმის შედეგად, რუსთავში ცენტრალური გამზირი და რამდენიმე უბანი დაიტბორა. უამინდობის გამო შეფერხებული იყო საავტომობილო მოძრაობა. ასევე, შეიზღუდა ელექტროენერგიის მიწოდება. წვიმის შედეგად დაგროვილმა წყალმა მაღაზიები და სარდაფები დატბორა.

ზარალს რუსთავის მერიის სპეციალური კომისია ითვლის. დატბორილი ქუჩებიდან, სარდაფებიდან და ეზოებიდან წყლის ამოტუმბვას მთელი ღამის განმავლობაში აწარმოებდა რუსთავის სამაშველო სამსახურის სრული შემადგენლობა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ მაშველები და საპატრულო პოლიცია. (ნიუპოსტი)

## ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე ქართველი სამხედროები დააჯილდოვეს



ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე ქართველი სამხედროების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აისაფის სამხრეთის რეგიონალური სარდლობის ხელმძღვანელმა მედლები სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს პირადად გადასცა.

გენერალ-მაიორმა მაიკლ ბილსმა ქართველ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისა და წარმატებული სამხედრო მისიისთვის მადლობა გადაუხადა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დღეიდან 781 დასახელების მედიკამენტი კვლავ ურეცეპტოდ გაიცემა



დღეიდან 781 დასახელების მედიკამენტის შეძენას მოსახლეობა კვლავ ურეცეპტოდ შეძლებს. რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დავით მაჭარაშვილის განცხადებით:

„700-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი გადავიდა მესამე ჯგუფის მედიკამენტთა ნუსხაში. მათი გაცემა მოხდება რეცეპტის გარეშე. ბრძანებას უკვე მოეწერა ხელი და მედიკამენტების რაოდენობამ 781 შეადგინა. ამ მედიკამენტებს მიეკუთვნება ისეთი სამკურნალო საშუალებები, როგორიცაა ანალგინი-ბარალგინის საინექციო ფორმები, ანთების საწინააღმდეგო და გარეგანი ადგილობრივი გამოყენების სამკურნალო საშუალებები“, – განაცხადა მაჭარაშვილმა. საერთო ჯამში, მეორე ჯგუფის ფარმაცევტული დასახელების რაოდენობა 5 307 შეადგენს, ხოლო ურეცეპტოდ გასაცემი, მესამე ჯგუფის მედიკამენტთა ნუსხაში 4 234 დასახელება შედის.

ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტთა სიაში მოხვდა: „კეტონალი“, „ვოლტარენი“, „დიკლოფენაკი“, „მოვალისი“, „პაპავერინი“ (ამპულები, სპაზმოლიზური), „დიბაზოლი“ ამპულები, „ნოშპა“ ამპულები, „სპაზოლიზური“, „ეუფილინი“, „სულფოკამფოკაინი“, „ბეტასეკი“. ვიტამინები – ამპულები, „ვიაგრა“, „ნოვოკაინი“, „ლიდოკაინი“ – ამპულები. „ცეპტრალი“. მალამოები და გარეგანი მოხმარების საშუალებები – „სინტომიცინი“, „ჰიდროკორტიზონი“ და „ლორინდენი“, „პრედნიზოლონი“, „ზოვირაქსი“, „ანალგინი“ – ამპულები, რინგერის საინექციო ხსნარი. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ეს ეხებოდა კონკრეტული თანამდებობის პირების სამსახურებრივ გადაცდომას, იმავე საღამოს იქ კონკრეტულმა პირებმა, ვისზეც იყო საუბარი, იცოდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილთან მათზე საუბარი შედგა. ეს ადამიანები, ვისზეც იყო საუბარი, წარმოადგენდნენ ძალოვან სტრუქტურებს. ეს შეიძლება პირდაპირი მტკიცება არ არის, მაგრამ შეგიძლიათ, საბუთად ჩათვალოთ, რომ მის საუბარს უსმენენ.

**— და მაინც, ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს სამიზნე კონკრეტულად ვინ იყო?**

– მისი ძირითადი სამიზნე იყო ქართველი საზოგადოება. ამის მიღმა ის ამტკიცებს, რომ ხელისუფლების მუშაობას მხარს უჭერს, მე არ ვამბობ, რომ კმაყოფილია. იქ რამდენიმე ისეთი აქცენტი გაკეთდა, რომ ამას კმაყოფილი კაცი არ იტყვის, თუნდაც მოსმენებთან დაკავშირებით. ის, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ენდობა და ეყრდნობა,




**„სხვათა შორის, როდესაც დუმბაძის ხასიათზე ლაპარაკობდნენ, ერთ-ერთმა „რესპუბლიკელმა“ მითხრა, რომ, თუ მურმანს მისცემ ცოტაოდენ ძალაუფლებას, ინდომებს ყველაფერს. ეს არის სერიოზული და ძალიან რთული არგუმენტი. მოკლედ, ამ კაცს ასეთი თვისება აქვს... პოლიტიკაში ბალანსის ხელოვნებას თუ არ ფლობ, მაშინ რთულია იყო პოლიტიკაში. როგორც ჩანს, მურმან დუმბაძე ბალანსის თვისებას მოკლებულია“**

ამაზე საუბარი არ არის, მაგრამ ბევრი რამ რომ არ მოსწონს გუნდში, ეს მის ინტონაციაში იგრძნობა... მარგველაშვილთან მიმართებაში გზავნილი გასაგებია, პრინციპში ივანიშვილისთვის ეს ადამიანი, როგორც პიროვნება, აღარ არსებობს. ამას მე კარგა ხნის წინ მივხვდი, როდესაც პრეზიდენტის ინაუგურაცია ხდებოდა და როდესაც მარგველაშვილმა ივანიშვილის თხოვნა არ გაითვალისწინა, ეს არის ოჯახური საკითხი და ამას ვერ ვიტყვი.

**— ცნობილია, რომ ივანიშვილმა მარგველაშვილს სთხოვა, ჯვარი დაეწერა მაკა ჩიჩუაზე, რომელიც მისი მეგობარი ქალის სტატუსით სარგებლობდა. ეს მან გასულ კვირას გააკეთა...**

– პირველად კონფლიქტი ამ საკითხზე წარმოიშვა, რაც მაშინ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა არ გაითვალისწინა. ამასთან დაკავშირებით მან საკმაოდ ორაზროვანი პასუხი გასცა. იცით რა, როცა ადამიანი პრეზიდენტი ხდები, არსებობს გარკვეული წესი, რომელსაც იცავს მსოფლიო, ეს წესები უნდა დაიცვა. იმიტომ კი არა, რომ ეს ვიღაცის კაპრიზია, ეს არის მიღებული ფორმა და საზოგადოებას გარკვეულ ფასეულობებზე უთითებს. დღეს პრეზიდენტმა ეს გააკეთა, რასაც სულითა და გულით ვულოცავ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილისა და მარგველაშვილის ურთიერთობაში, ეს არის ძალიან დაგვიანებული. შემდეგი შეცდომა იყო პრეზიდენტის სასახლეში შესვლა, მარგველაშვილი კატეგორიულ უარზე იყო, ფეხის შემდგმელი არ ვარ მაგ სასახლეშიო და მერე გადავიდა თავის სიტყვას. მარგველაშვილმა პირველივე დღეებში ისეთი ნაბიჯი გადადგა, რამაც ურთიერთობების უცებ გაციება გამოიწვია.

**— რას ვიღებთ ჩვენ, ოპოზიციაში მყოფი პრეზიდენტი გვეყოლება?**

– რთული სათქმელია, წავა თუ არა ამ გზით მარგველაშვილი. მართალია, მთელი საინფორმაციო სივრცე აჭრელებულია, თითქოს მარგველაშვილი პარტიას ქმნის და გადატრიალებას აწყობს, მაგრამ არ არის მარგველაშვილი ის კაცი, ვინც გადატრიალების მომწყობია. შეიძლება გუნდის შიგნით შექმნას დისკომფორტი, მაგრამ ქვეყანას რომ დისკომფორტი შეუქმნას, ამაზე წამსვლელი არ არის. მე ასეთად არ ვიცნობ. მე სულ ვფიქრობდი, რაღაცნაირად მოხდებოდა მოლაპარაკება, ძალიან დიდი სირცხვილია, რაც ახლა საქართველოში ხდება. საზოგადოებამ, ბოლოს და ბოლოს, ვერ გაარკვია, ვინ არის ქვეყნის ხელმძღვანელი.

**— ხელისუფლება გვიმტკიცებდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან კოჰაბიტაცია იყო აუცილებელი, მაგრამ დღეს იგივე ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ ივანიშვილის მიერ მოყვანილ პრეზიდენტთან კოჰაბიტაცია არის შეუძლებელი. უნდა ველოდოთ თუ არა კონსტიტუციურ გადატრიალებას?**

– შეიძლება მოხდეს კონსტიტუციური გადატრიალება, იმპიჩმენტის გამოცხადებაც, ყველაფერიც შეიძლება. გიორგი მარგველაშვილის ადგილას რომ ვიყო, ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ირაკლი ღარიბაშვილთან და ბიძინა ივანიშვილთან დამელაგებინა ურთიერთობები ყოველგვარი გასაჯაროებისა და ტრიბუნის გარეშე. სხვანაირად ქვეყანას მათი დაპირისპირება არ წაადგება. სხვათა შორის, ჩვენ, ყველა, პრეზიდენტს ვუკიჟინებდით, რომ, თუ პრეზიდენტი ხარ, უნდა იყო ქვეყნის პრეზიდენტი და არა ერთი პარტიის. გიორგი მარგველაშვილმა ბოლო დროს მოინდომა, რომ მთელი საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. ეს არის დაგვიანებული სვლა. ახლა სადღაც შუაშია გაჭედილი, არც იქით არის და არც აქეთ, პრობლემებშია ჩაფლული და ამ სიტუაციის გამო ქვეყანა რთულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა, თუ მთავრობაში ვინმეს ჰგონია, გიორგი მარგველაშვილის გაქილიკებით ქულებს იწერს მთავრობის მეთაურთან, ეს არის შეცდომა. მაგალითად, ზოგიერთი ჩვენი მინისტრის გამონათქვამს ვერაფრით მივიღებ, იმიტომ კი არა, რომ მარგველაშვილს ვგულშემატკივრობ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი დამოკიდებულება აზიანებს ქვეყანას. ვთვლი, რომ პრემიერმა და პრეზიდენტმა შიგნით უნდა მოაგვარონ ურთიერთობები, კინაღამ გადააყოლეს თურქეთი ერდოღანმა და გიულიმ პირად კინკლაობას. კიდევ კარგი, საპრეზიდენტო არჩევნებმა მოუსწროთ, თორემ რით დასრულდებოდა ეს ამბავი, კაცმა არ იცის. მათ მთელი ევროპა დასცინოდა.

**— თუკი ვერ მოხდა ურთიერთობების დარეგულირება, გამოსავალი რა არის?**

– მაშინ მარგველაშვილი უნდა გადადგეს პრეზიდენტობიდან და უნდა წავიდეს, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ეს არის ძალიან დამღლელი, არადა, ჩვენს გარშემო იმდენი ამბავი ხდება და იმდენი საფრთხის წინაშე ვდგავართ, რომ არ გვაქვს იმის უფლება, რომ საქართველოს ხელისუფლების შიდა დაპირისპირებას ვუყუროთ. მით უფრო, რაც ხდება აჭარაში, ეს არის ძალიან საფრთხილო თემა, რომელსაც სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება.



**„რასაც ლაპარაკობს უგულავა, ის გულისხმობს სახელმწიფო გადატრიალებას და არა არეულობას, მაგრამ რასაც ლაპარაკობს ბოკერია, ეს არის კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეული საზოგადოებრივი ნების დემონსტრირება. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ახალი ელექტორატი არ შეემატოს და არავითარი გადატრიალებაც არ მოხდება“**

**— ბათუმის მაჟორიტარი და ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე გაირიცხა ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“, ფიქრობთ თუ არა, რომ ამას კოალიციის დაშლაც მოჰყვება?**

– ახლა კოალიცია არავითარ შემთხვევაში არ დაიშლება. სამწუხაროდ, მურმან დუმბაძემ ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელად არჩევნების პროცესიდან დაიწყო დამოუკიდებელი თამაში, მან მოინდომა, ყოფილიყო აჭარის უფროსი. ერთი რამ უნდა გითხრათ, სხვათა შორის, პირველად მურმან დუმბაძე მე მოვიყვანე „ქართულ ოცნებაში“, მართალია, პირველი შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, ვერ მოილაპარაკეს კოალიციაში შემავალმა „რესპუბლიკელებმა“ და თვითონ დუმბაძემ, მაგრამ მერე აღარ ვიცი, როგორ აღმოჩნდა ის „ქართულ ოცნებაში“. სხვათა შორის, როდესაც დუმბაძის ხასიათზე ლაპარაკობდნენ, ერთ-ერთმა „რესპუბლიკელმა“ მითხრა, რომ, თუ მურმანს მისცემ ცოტაოდენ ძალაუფლებას, ინდომებს ყველაფერს. ეს არის სერიოზული და ძალიან რთული არგუმენტი. მოკლედ, ამ კაცს ასეთი თვისება აქვს... პოლიტიკაში ბალანსის ხელოვნებას თუ არ ფლობ, მაშინ რთულია, იყო პოლიტიკაში. როგორც ჩანს, მურმან დუმბაძე ბალანსის თვისებას მოკლებულია. მურმან დუმბაძე კოალიციაში საფრთხეებს ნამდვილად ვერ შექმნის, ვერც იმ ხალხით, რომელიც აჭარის უზენაეს საბჭოშია და ვერც თავად პიროვნულად. ის არ არის იმ კალიბრის ადამიანი, რომელსაც შეუძლია საფრთხის შექმნა.

**— ამ ყველაფრის პარალელურად არ ჩერდება „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ლიდერები ყოველდღიურად აანონსებენ შემოდგომაზე დიდი საპროტესტო ტალღის აგორებას. შინაგან საქმეთა მინისტრმა „ალიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, რომ კონკრეტულ დაჯგუფებას ანტიკონსტიტუციური გზებით ხელისუფლების დამხობა სურდა. ამას მოჰყვა ბოკერიას დასტური, რომ ისინი ამისთვის ემზადებიან, ოღონდ ბოკერიას ენაზე ამას შეთქმულება არ ჰქვია... რას უნდა ველოდოთ?**

– ბოკერიას მისი ეს პასუხი უნდა დავუფასოთ, ეს არ არის მარტივი სათქმელი, რაც მან თქვა, სხვათა შორის, ხაზი გაუსვა, რომ ეს ყველაფერი, რასაც ვამბობ, კონსტიტუციის ფარგლებში ჯდებაო. აქ სხვა რამეშია საქმე, როცა ასეთ თემებზე მიდის საუბარი, პირველ რიგში მიზეზები უნდა აღმოფხვრა, რომ ხალხი არ იყოს უკმაყოფილო, შენი დანაპირები უნდა შეასრულო. თუ მთლიანად ვერ ასრულებ, ნაწილობრივ მაინც... მოდით, ჩავიხედოთ იმ წერილში, რომელიც უგულავამ მისწერა თავის თანაპარტიელებს, სადაც მითითებულია ის ჯგუფები, ვისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს „ნაციონალურ მოძრაობას“. იქ ნახსენებია ე.წ. დაჩაგრული სტუდენტები, იქ საუბარია რეცეპტით უკმაყოფილო ხალხზე, როცა ხარ ხელისუფლება, ეს მიზეზები არ უნდა მისცე „ნაციონალურ მოძრაობას“, ჯანდაცვის მინისტრმა 800 წამალი ამოიღო რეცეპტების სისტემიდან, ე.ი. ამის გაკეთება შესაძლებელი ყოფილა. შე დალოცვილო, ჯერ კარგად გაიაზრე და ისე გადადგი ნაბიჯი. რასაც ლაპარაკობს უგულავა, ის გულისხმობს სახელმწიფო გადატრიალებას და არა არეულობას, მაგრამ რასაც ლაპარაკობს ბოკერია, ეს არის კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცეული საზოგადოებრივი ნების დემონსტრირება. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ახალი ელექტორატი არ შეემატოს და არავითარი გადატრიალებაც არ მოხდება.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საბოტაჟი 1 წლის წინათ დაიწყო“




„ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი ზურაბ ქადაგიძე გიგი უგულავას წერილს ეხმაურება:

„ნაციონალური მოძრაობის“ საბოტაჟი ბევრად ადრე დაიწყო, ვიდრე გიგი უგულავას წერილი გასაჯაროვდებოდა. კერძოდ კი, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 7 თვეში გახარჯა გამგეობებში არსებული თანხები. ეს ყველაფერი დაახლოებით 1 წლის წინათ დაიწყო. დღეს კი გამოდიან პრეტენზიებით, რომ ბიუჯეტში თანხა არ არის. სწორედ მათ მიერ გახარჯული თანხების გამო ქალაქის თვითმმართველობას დღეს გარკვეული სესხების აღება უწევს. „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს მხოლოდ საკუთარ პარტიულ ინტერესებს არგებს“, – განაცხადა ქადაგიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დააკავეს




ხონის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა კუბლაშვილი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გამო დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შემთხვევა 14 სექტემბერს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, კუბლაშვილი ავტომობილს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, რა დროსაც ის პოლიციამ გააჩერა და კუბლაშვილმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას 250-ლარიანი ჯარიმა და მართვის უფლების 6 თვით ჩამორთმევა მიესაჯა. (ნიუპოსტი)



## წვიმისა და სეტყვის შედეგად ადიგენის რაიონის რვა სოფელი დაზარალდა

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, მოსავალი თითქმის განადგურებულია. დატბორილია ნაკვეთები, საკარმიდამო ეზოები, სარდაფები და სახლები.

ძლიერმა წვიმამ, რომელიც დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა, საცხოვრებელი სახლების სახურავები და ინფრასტრუქტურა დააზიანა. შეზღუდული იყო საავტომობილო მოძრაობაც. მოსახლეობა სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებას ითხოვს.

ზარალის ოდენობას სპეციალური კომისია დაითვლის. (ნიუპოსტი)

„სითი პარკმა“, რომლის თბილისიდან გაძევებასაც ყველა თბილისელი ერთხმად მოითხოვს, კიდევ ერთხელ ითავხედა და სრულიად უსაფუძვლოდ, ავტომფლობელებს 10-ლარიანი ჯარიმები „აჰკიდა“. შეგახსენებთ, რომ 1-ლი სექტემბრიდან საქართველოში ახალი სანომრე ნიშნები შემოვიდა და ძალიან ბევრმა გამოცვალა ძველი ნომერი ახლით. „სითი პარკმა“ კი სწორედ აქ მოუდო შარი ხალხს, ჩვენ მიერ გაცემულ ავტოპარკირების საშვში ძველი ნომრებია მითითებული, ახალი არ არისო და ამიტომაც, ყველა, ვისაც ახალი ნომერი ჰქონდა მანქანაზე, ერთიანად დააჯარიმა. მხოლოდ 10 დღის შემდეგ, 10 სექტემბერს გამოაცხადა „სითი პარკმა“, რომ თურმე ავტოპარკირების საშვში ძველი ნომრის ახლით შეცვლა იყო საჭირო და ავტომფლობელები, ათასობით დაჯარიმებული ადამიანი, თავის ერთადერთ სერვისცენტრში, კანდელაკის ქუჩაზე დაიბარა, იქ მოდით, შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან ნომრის შეცვლის შესახებ ცნობა მოიტანეთ და მერე გადავიტანთ ავტოპარკირების საშვზე ამ ახალ ნომერს და აღარ დაგაჯარიმებთო.

„ალია“ ამის შესახებ უკვე წერდა, ვწერდით იმ მოსალოდნელ პრობლემებზეც, რაც „სითი პარკის“ ამ გადაწყვეტილებას მოჰყვებოდა – უზარმაზარი რიგები მომსახურების სააგენტოსთან და მერე, „სითი პარკის“ ოფისთან, ისედაც ნერვებდაწყვეტილი ხალხის მოცდენა და ნერვების ხელახლა გლეჯა... მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამის შესახებ გამოხმაურებია „სითი პარკის“ მორიგ თავგასულობას არც მერიის სატრანსპორტო სამსახური, ანდა მერიის მმართველობიდან ვინმე და არც საკრებულოს რომელიმე დეპუტატს გაუპროტესტებია ეს ამბავი. არადა, ერთნიც და მეორენიც, ვიდრე თბილისის ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, იმუქრებოდნენ, ოღონდაც ძალაუფლება მოგვეცით ხელში, „სითი პარკს“ სულ ბდღვნას ავადენთ და თბილისიდან საერთოდ ავაორთქლებთო. აჰა, ძალაუფლებაც მაგათ ხელშია და თბილისის მართვის ყველა ბერკეტიც, მაგრამ „სითი პარკმა“ ისე „გადაუარა“ თბილისელებს, არავის კრინტი არ დაუძრავს.

**„სითი პარკის“ მიერ თბილისელთათვის ჩატარებული მორიგი სადამსჯელო ოპერაციის შესახებ, „ალია“ საკრებულოს დეპუტატს, ჯაბა სამუშიას ესაუბრა:**



# „სითი პარკის“ მიერ ახალი ნომრების გამო დაჯარიმებულებს თანხები უკან დაუბრუნდებათ?

**— ბატონო ჯაბა, „სითი პარკმა“ მორიგი ეგზეკუცია მოუწყო თბილისელ ავტომფლობელებს, ახალი სანომრე ნიშანი ვინც აიღო, მგონი, ყველა დააჯარიმა. საქმის კურსში იქნებით ამის შესახებ.**

– კი, ვიცი, „სითი პარკმა“ 10-10 ლარით დააჯარიმა ის ადამიანები, ვისაც ახალი ნომრები ავტოპარკირებაზე არ ჰქონდა გადატანილი.

**— მერედა, სად ხართ თქვე კაი ხალხო, ამის გამო საკრებულოს არც ერთ წევრს განცხადება არ გაგიკეთებიათ, არც მერიის შესაბამის სამსახურებს. სიტყვით მაინც გამოჰქომაგებოდით ამ უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანებს?**

– „სითი პარკთან“ დაკავშირებით საყვედური მე ნამდვილად არ მეთქმის...

**— ამ კონკრეტულ ფაქტზე მაქვს ლაპარაკი, თორემ „სითი პარკს“ რომ უკვე წლებია ებრძვით, ეგ კი ვიცი.**

– გეტყვით, გეტყვით... ჩვენ საკრებულოში გვქონდა ამაზე საუბარი და მერიის სატრანსპორტო სამსახურიც არ დარჩენილა რეაგირების გარეშე. რამდენადაც ვიცი, ამ 10-ლარიანი ჯარიმების გამო, მერიიდან დაუკავშირდნენ „სითი პარკს“ და ამ პრობლემაზე რაღაც მოლაპარაკებებია დაწყებული.

**— მაგრამ მერიას ამის შესახებ არაფერი განუცხადებია. თუ მოლაპარაკებებია დაწყებული, ჩააყენოს ხალხი საქმის კურსში, უკეთესი არ არის?**

– არ ვიცი, ეს უკვე მათი საქმეა. მთავარია, პრობლემა გადაიჭრას და ჩუმად გაკეთდება თუ ხმაურით, გადამწყვეტი ეს არ არის. შედეგია მთავარი. მარტო ამ ახალ, 10-ლარიან ჯარიმებთან დაკავშირებით არ გვაქვს „სითი პარკთან“ პრობლემები. ჩვენ ვაპირებთ მათი წარმომადგენლების საკრებულოში მოწვევას და კონკრეტული კითხვების დასმას. არ ვიცი, შეამჩნიეთ თუ არა, მაგრამ ამ ბოლო დროს, „სითი პარკის“ ჯარიმები გაიზარდა, ადრე თუ რაღაც დარღვევაზე იყო კონკრეტული თანხა, ახლა ეს ჯარიმა გაორმაგებულია. მოკლედ, ზოგადად, ჯარიმების ტარიფების ზრდა შეიმჩნევა. „სითი პარკმა“, იმის ნაცვლად, რომ მერიის პირობები მიიღოს, შეცვალოს პოლიტიკა და ხალხს ნორმალურად ემსახუროს, პირიქით, ამ ხალხის უარესად გამწარება დაიწყო.

რაც შეეხება იმ 10-ლარიან ჯარიმებს, ეს სრულიად უსაფუძვლო იყო. კი, „სითი პარკს“ ჰქონდა უამრავი დრო, რომ ეს საკითხი უპრობლემოდ მოეგვარებინა. მას შს სამინისტროს მომსახურების ბაზიდან უნდა მოეთხოვა ყველა ნომერშეცვლილი მანქანის მონაცემები, პრინციპში, მხოლოდ ახალი ნომერი, მერე ეს ნომრები უნდა დაეტანა ავტოპარკირების საშვზე ძველის ნაცვლად და ეს ახალი საშვები დაერიგებინა ხალხისთვის. ამ მარტივ პროცედურას კი ამ კომპანიის მესვეურებმა, არჩიეს, ჩუმად ყოფილიყვნენ, ხალხი დაეჯარიმებინათ და მხოლოდ 10 დღის შემდეგ ჩაეყენებინათ ავტომფლობელები საქმის კურსში, რომ საშვზე თურმე ახალი სანომრე ნიშნის დატანებაა სავალდებულო. არადა, ამ ხალხს ეს საშვი ნაყიდი აქვს, ფული გადაგიხადა და რატომ აჯარიმებ? შენ საქმეს ვერ მოაბა თავი, ხალხი რა შუაშია? ცხადია, ეს ყველაფერი ბევრ კითხვას ბადებს და „სითი პარკის“ ხელმძღვანელებს ამ კითხვებზეც მოუწევთ პასუხის გაცე-

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

C.T.PARK

**„ამ ბოლო დროს „სითი პარკის“ ჯარიმები გაიზარდა, ადრე თუ რაღაც დარღვევაზე იყო კონკრეტული თანხა, ახლა ეს ჯარიმა გაორმაგებულია. მოკლედ, ზოგადად ჯარიმების ტარიფების ზრდა შეიმჩნევა. „სითი პარკმა“, იმის ნაცვლად, რომ მერიის პირობები მიიღოს, შეცვალოს პოლიტიკა და ხალხს ნორმალურად ემსახუროს, პირიქით, ამ ხალხის უარესად გამწარება დაიწყო“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რადიო და ტელევიზია არ არის საკმარისი, ცოდნა წიგნებიდან უნდა აიღოთ“




სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ახალგაზრდებს მიმართა, სიღრმისეული ცოდნა წიგნებიდან მიიღონ. სიონის საკათედრო ტაძარში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით პარაკლისი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სასულიერო პირებთან და მღვდელმთავრებთან ერთად გადაიხადა. პარაკლისის დროს ლოცვებში უფალს შესთხოვეს, რათა ახალგაზრდებს სიბრძნე და კეთილგონიერება მისცეს.

„სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური პარაკლისი სრულდებოდა და ჩვენ ყველანი ვგრძნობდით იმ მადლს, რომელსაც ვიღებდით. მახსენდება ჩვენი ერთ-ერთი პროფესორის სიტყვები, რომ თქვენ ათი სემინარია და აკადემია რომ დაამთავროთ, არაფერი გამოვა, თუ ინდივიდუალურად თქვენს თავზე არ იმუშავებთო. მან გვირჩია, შეგვექმნა პირადი ბიბლიოთეკა. ჩვენ გვქონდა სტიპენდია და ეს სტიპენდია ძირითადად წიგნების ყიდვაზე მიდიოდა. პროფესორები კითხულობდნენ ლექციებს და ზოგიერთი სტუდენტი კმაყოფილი იყო ამით. იყო სტუდენტების სხვა ნაწილი, რომლებიც მუშაობდნენ ბიბლიოთეკაში... წიგნების კითხვა – ეს იყო საწყისი ჩემი ასეთი წინსვლისა სემინარიასა და აკადემიაში 8 წლის განმავლობაში. მე ვკითხულობდი წიგნებს და ვიყავი პირველი. მოსწრებით პირველმა დავამთავრე სასულიერო აკადემია. წარმოუდგენელია, ადამიანი იყოს წიგნების გარეშე. რადიო და ტელევიზია და სხვა საშუალებები არ არის საკმარისი. სიღრმისეული ცოდნა წიგნებიდან უნდა აიღოთ. ჩვენ შევთხოვთ უფალს, გახსნას ჩვენი გონება, გული“, – აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## „გია ბარამიძე ბოროტი, მკვლელი, ყველაფრის მკადრებელი ნაძირალაა!“

„ვინ არის გია ბარამიძე? თავისი არსითა და ბუნებით ბოროტი, მკვლელი, ყველაფრის მკადრებელი ნაძირალაა. ჯერ შევარდნაძეს უძვრებოდა, აქებდა და ადიდებდა, ხოტბას ასხამდა, შემდეგ უღალატა“, – ამ განცხადებას „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს:




„ზურა ჟვანიას უახლოესი მეგობარი ვარო... მაგრამ ისიც გაყიდა. მისი მკვლელობა სააკაშვილს შეარჩინა და უსაპნოდ შეუძვრა. ამის მერე, სააკაშვილთან ერთად, სოხუმი და ცხინვალი რუსეთს მიართვა და თურქებისთვის აჭარის მიყიდვის სამარცხვინო და მზაკვრულ საქმეში ჩაერთო. აფრასიძეების მკვლელი, მთელი საქართველოს ერთ დიდ ციხედ გადაქცევის გეგმის აქტიური თანამონაწილე.

მოკლედ, არც კაცი და არც ადამიანი. ბოროტის მონა და „ოთხი არა“-ს პროპაგანდისტი და მსახური: არა – რწმენას, არა – სამშობლოს, არა – ერს და არა – სქესს. აი, ამ „იდეალების“ ქადაგი. ბარამიძისნაირი ბოროტება რომ დაუსჯელი დაიარება, დღითი დღე თავხედდება. ახლა უკვე ისე გათავხედდა, რომ ციხეში პატიმართა წამებასაც კი უარყოფს. არაკაცი, რეჟიმის ერთ-ერთი ლიდერი... რეჟიმისა, რომლის მმართველობის დროსაც ადამიანებს ციხეებში სადისტურად აწამებდნენ და აუპატიურებდნენ, დღეს ისე გათამამდა, რომ პატიმრების წამებას სპექტაკლსა და დადგმულ სცენებს უწოდებს... და როგორც (ამ მართლაც რომ რუსეთის აგენტებს) სჩვევიათ, ყველაფერს რუსეთსა და პუტინს აბამს. მერამდენედ გითხრათ, თქვენზე ერთგული აგენტურა რუსეთს არ ჰყოლია და, ალბათ, კარგად ხანი არ ეყოლება. შტირლიცი ტირის საფლავში, თქვენი შემხედვარე. გგონიათ, ყურადღებას გადაიტანთ და შეგრჩებათ? არ გაპატიებთ! და მკაცრად დაგსჯით! სოხუმისა და ცხინვალისთვისაც დაგსჯით! პატიმრების წამებისთვისაც დაგსჯით! და ასობით ადამიანის მკვლელობებისთვისაც დაგსჯით! დაძალიან ახლოა ეს დრო, რომ იცოდეთ...“ – წერს ინაშვილი. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*

მა. მათ მართლა ძალიან ცუდ დღეში ჩააგდეს ადამიანები, რომლებიც მათ ფულს უხდიან მომსახურებისთვის და არა პრობლემების შექმნისთვის.

**— ამ 10-ლარიანი ჯარიმის გამო, სასამართლოს არავინ მიაკითხავს, არადა, ეს დაჯარიმებული ხალხი მართალია. რით დაეხმარებით ამ უსამართლოდ დაჩაგრულ ათასობით ადამიანს?**

– იმედი მაქვს, რომ თბილისის მერია „სითი პარკთან“ მოაგვარებს ამ საკითხს და ახალი სანომრე ნიშნების გამო დაჯარიმებულებს უკან დაუბრუნებს კომპანია ამ თანხას. „სითი პარკის“ ამ გაუთვლელი ნაბიჯის, თუ შეგნებული პროვოკაციის გამო, ხალხმა პასუხი არ უნდა აგოს. ხომ გითხარით, ამ მიმართულებით მერია რაღაც კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს, პროცესი, როგორც ვიცი, დაწყებულია, ამ ეტაპზე ასეთი ინფორმაცია მაქვს. თუ არადა, პირადად მე დავაყენებ მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებთან საკითხს, რომ დაჯარიმებულთათვის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე „სითი პარკთან“ დაიწყოს მოლაპარაკება. თუმცა, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამ კომპანიას არ აქვს სურვილი, ითანამშრომლოს თბილისის მერიასთან, მისი შენიშვნები გაიზიაროს და ნორმალურად იმუშაოს. კი, შეგვხვდნენ ჩვენ, საკრებულოს წევრებსა და მერიის ხელმძღვანელებს, მაგრამ ერთადერთი, რაც მას შემდეგ გააკეთა „სითი პარკმა“, მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულება გაასაჯაროვა, ისიც, მხოლოდ ნაწილი ამ ხელშეკრულებისა, საიდუმლო მუხლებში რა წერია, დღემდე არავინ იცის. ამის გარდა, მას სხვა არაფერი შეუცვლია.

**— რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს „სითი პარკი“, მერიამ ერთი თვე, სექტემბრის ბოლომდე მისცა ვადა ამ კომპანიას ხელშეკრულების კორექტირებისთვის, ეს სექტემბრის ბოლოც მოვა და ვნახავთ, რომ „სითი პარკი“ ბევრს არაფერს შეცვლის და მერიის უამრავ მოთხოვნას საერთოდ არ გაითვალისწინებს. ამ კომპანიის მესვეურთ უკვე თავში აქვთ ავარდნილი და აგერ ნახავთ, თუ ეგრე არ მოხდება. ნამეტანი ხომ არ ელოლიავებიან ამ კომპანიას? აიღეთ და მართლა გააძევეთ საქართველოდან. გაუწყვიტოს მერიამ კონტრაქტი და ამით დასრულდება ყველაფერი.**

– ერთია თქვენი პოზიცია და მეორეა, სამართლებრივი მხარე...

**— ეს ჩემი პოზიცია კი არა, ასეულ ათასობით ავტომფლობელის პოზიცია და სურვილია.**

– მე თავად ვარ წინააღმდეგი, რომ ეს ორგანიზაცია იყოს თბილისის ბაზარზე, მეც მომხრე ვარ, რომ შეუწყვიტოს „სითი პარკს“ კონტრაქტი თბილისის მერიამ. ამ კომპანიას სერიოზული არაფერი გაუკეთებია თბილისში მთელი 7 წლის მანძილზე, მცირე მეწარმესაც შეუძლია, განახორციელოს ის ინვესტიციები, რაც ამ კომპანიამ თბილისში დახარჯა. ყველამ ვიცით, რომ ეს კომპანია „ნაციონალთა“ მფარველობის ქვეშ იყო და მათ ბოლოს ისეთი ხელშეკრულება გაუფორმეს, თუ მერია „სითი პარკთან“ ცალმხრივად გაწყვეტს კონტრაქტს, მაშინ მერიამ რამდენიმე მილიონი უნდა გადაუხადოს კომპენსაციის სახით.



„გიგი უგულავას, მგონი, პრეზიდენტზე მეტი უფლებები ჰქონდა, აბსოლუტურად უკონტროლო იყო და რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ვისთანაც სურდა, იმასთან აფორმებდა ხელშეკრულებებს, ტენდერები გაუმჭვირვალე იყო და კაცმა არ იცოდა, მერიაში რა ხდებოდა... ახლა ასე აღარ არის, ყველაფერი გამჭვირვალე და საჯაროა“



„თბილისის მერია „სითი პარკთან“ მოაგვარებს ამ საკითხს და ახალი სანომრე ნიშნების გამო დაჯარიმებულებს უკან დაუბრუნებს კომპანია ამ თანხას. „სითი პარკის“ ამ გაუთვლელი ნაბიჯის, თუ შეგნებული პროვოკაციის გამო, ხალხმა პასუხი არ უნდა აგოს. ამ მიმართულებით მერია რაღაც კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს“

**— ეგ ვიცი, ბატონო ჯაბა და ამ „სითი პარკს“ ის ხალხიც უნდა მიაყოლოთ, ვინც ასეთი კაბალური ხელშეკრულება გაუფორმა. ორ კაცს ახლავე გეტყვით. ამ ხელშეკრულებას თბილისის იმჟამინდელი ვიცე-მერი, მამუკა ახვლედიანი აწერს ხელს და ამას გიგი უგულავას გარეშე ვერც და არც გააკეთებდა. აი, ამათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვათ, სახელმწიფოსთვის ცალსახად წამგებიანი ხელშეკრულება რომ გაუფორმეს ამ კომპანიას და ცხადია, თავად „სითი პარკის“ ხელმძღვანელებისაც, რომელთაც ჯერ ხალხის ყვლეფით იშოვეს ფული და ახლა, კონტრაქტს თუ შეუწყვეტს, მერიამ კიდევ მილიონები უნდა გადაუხადოს.**

– გასაგებია და ჩვენ სწორედ მაგ მიმართულებით მივდივართ ნაბიჯ-ნაბიჯ. ვნახოთ, გავიდეს მერიის მიერ დადგენილი ვადა, ვნახოთ, რას შეცვლის „სითი პარკი“. თუ არაფერი, ან ბევრი არაფერი შეცვალა, მერე სამართლებრივი მექანიზმები ამუშავდება. მერწმუნეთ, იმ კაბალური ხელშეკრულების გამო, რაც მერიის წინა ხელმძღვანელობამ ამ კომპანიას გაუფორმა, ვინც დამნაშავე აღმოჩნდება, პასუხსაც აგებს სათანადოდ.

**— არაერთხელ მოგვისმენია, რომ „სითი პარკი“ გიგი უგულავას გუნდს სოლიდურ თანხას უხდიდა იმისთვის, რომ ხალხი უპრობლემოდ ეყვლიფა, მისთვის სასურველი ხელშეკრულება გაეფორმებინა მერიასთან. ბატონო ჯაბა, ხალხი ეჭვობს, რომ შესაძლოა, „სითი პარკმა“ მერიის ახალ ხელმძღვანელობასთანაც გამონახოს საერთო ენა, მათთან კორუფციულ გარიგებაში შევიდეს და არც არაფერი შეიცვალოს — „სითი პარკი“ დარჩება ბაზარზე და ხალხის ტერორს გააგრძელებს. რას ვიზამთ, ხალხს ვარაუდების გამოთქმის უფლებას ვერ წავართმევთ, თანაც იმ ფონზე, რაც „სითი პარკმა“ გაბედა და ამდენი ხალხი უსაფუძვლოდ დააჯარიმა.**

– მე ამას გამოვრიცხავ, რადგან მერიაში დღეს ყველა პროცესი გამჭვირვალეა და გარდა ამისა, საკრებულო შესაბამის კონტროლს ახორციელებს მერიაში მიმდინარე პროცესებზე. დამიჯერეთ, მსგავსი არაფერი მოხდება. ისიც გავითვალისწინოთ, რომ გიგი უგულავას, მგონი, პრეზიდენტზე მეტი უფლებები ჰქონდა, აბსოლუტურად უკონტროლო იყო და რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა, ვისთანაც სურდა, იმასთან აფორმებდა ხელშეკრულებებს, ტენდერები გაუმჭვირვალე იყო და კაცმა არ იცოდა, მერიაში რა ხდებოდა... ახლა ასე აღარ არის, ყველაფერი გამჭვირვალე და საჯაროა, ამასთანავე, მერიის დღევანდელი ხელმძღვანელობა, მერის ჩათვლით, მრავალმხრივი მექანიზმით კონტროლდება და ეს ყველაფერი გამყარებულია სათანადო საკანონმდებლო ბაზით.

**„ალიას“ „სითი პარკის“ მორიგ ეგზეკუციასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის, პაატა ჯაჭვლიანის პოზიციის დაფიქსირება სურდა. ისიც გვინდოდა გაგვეგო, მართლა აწარმოებს თუ არა ეს სამსახური „სითი პარკთან“ მოლაპარაკებას“ 10-ლარიანი ჯარიმების გაუქმების შესახებ, თუმცა პაატა ჯაჭვლიანს ვერ დავუკავშირდით. მერიის პრესსამსახურიდან გვაცნობეს, რომ ის მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მოქალაქეებს იღებდა.**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მევენახეებმა აქცია გამართეს



ყვარლის რაიონში მევენახეებმა საპროტესტო აქცია გამართეს და ლაგოდეხი-ყვარელი-თელავის მთავარი მაგისტრალი გადაკეტეს. ადგილობრივები ჭიკაანში ღვინის ქარხნის გახსნასა და თეთრი ყურძნის ჩაბარებას ითხოვდნენ. გლეხების თქმით, ქარხნები ყურძენს არ იბარებენ, მოსავალი ფუჭდება.

როგორც მევენახეების ნაწილმა აღნიშნა, გვალვამ და სეტყვამ ყურძენი დააზიანა და კერძო ქარხნები არ იბარებენ. ისინი სახელმწიფოს მოსავლის დაბინავებაში დახმარებას სთხოვენ და აცხადებენ, რომ ბანკის კრედიტებს ვერ გადაიხდიან.

აქციაზე მივიდნენ „რთველი 2014“-ის შტაბის წევრები და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი. მისი თქმით, სოფელ ჭიკაანის ღვინის ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობას 16 სექტემბრიდან დაიწყებს და გლეხებისგან სამიდან ოთხი ათას ტონამდე ყურძენს ჩაიბარებს.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, მოსახლეობას პროტესტის მიზეზი არ აქვს. მისივე თქმით, რქაწითელის ფასი ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. დაუზიანებელი ყურძენი ერთი ლარი ეღირება, ხოლო დაზიანებულ ყურძენში სახელმწიფო გლეხებს კილოგრამში 50 თეთრს გადაუხდის. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილ წევრს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა



ექსპრემიერ ზურაბ ჟვანიას დაცვის ყოფილ წევრ კობა ხარშილაძეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა. ხარშილაძის ადვოკატ ბექა ბასილაიას განცხადებით, საუბარია „გრინსერვისის“ საქმეზე. გამოძიება ხარშილაძეს ძველი თბილისის ყოფილ გამგებელ ლაშა ფურცხვანიძესთან ერთად უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ედავებოდა. ამ უკანასკნელს ასევე გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, თუმცა ფურცხვანიძისგან განსხვავებით, ხარშილაძეს 2-წლიანი რეალური სასჯელი განესაზღვრა, ფურცხვანიძეს კი – პირობითი.

ხარშილაძეს კიდევ ერთი ბრალდება აქვს წაყენებული. ამჯერად საუბარია ექს-პრემიერ ზურაბ ჟვანიას საქმეზე. გამოძიება მას სამსახურებრივ გულგრილობას ედავება.

როგორც ადვოკატი აცხადებს, აღნიშნულ ეპიზოდზე ბრალდებულს საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებით შეთავაზება არ მიუღია. (ფრონტნიუსი)

## ბათუმში სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გამართეს



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა სწავლის დაწყება მდუმარე აქციით გააპროტესტეს.

„ნუ გვატყუებთ სტუდენტებს. თვითმმართველობა სტუდენტებს და არა პიროვნებებს. ძირს განათლების გაუნათლებელი სისტემა“, – აღნიშნული წარწერებით მეოთხე კურსის სტუდენტებმა განათლების დაბალი დონე გააპროტესტეს.

აქციის პარალელურად ამავე უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებს სწავლის დაწყება აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და მთავრობის წევრებმა საზეიმო ვითარებაში მიულოცეს. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# განათლების მინისტრს ხსნიან?

## რა ფაქტებით დაინტერესდა პარლამენტის განათლების კომიტეტი?



**„ალიას“ ესაუბრება „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი დავით ფერაძე:**

– „ალიაში“ გეწერათ, რომ განათლების მინისტრი სანიკიძე ერთპიროვნულ მმართველობასა და დიქტატს ამყარებს, რასაც სკოლებში გარკვეული ჯგუფი უკვე შეეწინააღმდეგა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან ეს ქმედება კვლავ გააგრძელა და სკოლების უმრავლესობაში დირექტორებად გვევლინებიან ის ადამიანები, რომლებიც სურთ სანიკიძესა და მის დამქაშებს და, გამოდის, საქმე გვაქვს ნეპოტიზმთან და სერიოზულ ჩაწყობებთან, სადაც ჩართულია არაერთი მაღალჩინოსანი, რომელსაც, საბოლოო ჯამში, ხელმძღვანელობს სანიკიძე. ამ შემთხვევაში დოკუმენტებზე დაყრდნობით მინდა სანიკიძის ერთ-ერთ მოადგილეზე მოგიყვეთ, ესაა ლიკა გიგაური, რომელიც, საგანმანათლებლო სკოლების სექტორს კურირებს და სწორედ გიგაური გახლავთ სერიოზული ფიგურა ამ ნეპოტისტურ სივრცეში. მხედველობაში მაქვს 39-ე საჯარო სკოლა, რომელიც არჩეული ჰქონდა დირექტორობის 13 ბჭოს, რომ გიგაური განთავისუფლებულიყო და განთავისუფლდა კიდეც, მაგრამ ეს აუდიტის ცნობა არ იქნა ბათილად ცნობილი ახალი ხელისუფლების პირობებში. ლია გიგაურს, რომელიც კანონდარღვევაში იქნა ეჭვმიტანილი, აწინაურებენ და გადაჰყავთ განათლების სამინისტროში ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარედ და ეს ხდება მარგველაშვილის მინისტრობის დროს. ხოლო, როგორც კი სანიკიძე ხდება მინისტრი, გიგაური მის მოადგილედ გადაჰყავს. ანუ, რაც მოხდა, ეს დაჰბრალდათ მაშინდელ ნაცებს, მაგრამ, ვინც იმ პერიოდში ამ მოკვლევას აწარმოებდა, წამალაშვილები და სხვები, რატომღაც დატოვა სანიკიძემ სამსახურში და კითხვა მაქვს, რატომ? თუკი ისინი დევნას ახორციელებდნენ მისი მოადგილის მიმართ?

**— და რატომ მოხდა ასე?**

– იმიტომ, რომ დღეს სანიკიძე და გიგაური რომელ სკოლასაც დაადებენ ხელს, თავის გადარჩენის მიზნით ეს ადამიანები შედიან ამ სკოლებში და უკირკიტებენ იქ და წერენ შესაბამის დასკვნებს. სანიკიძემ და გიგაურმა რა დამგეგმავია, ყველაფერი ისე კეთდება, როგორც მას უნდა, ლია გიგაური თავისით ამას ვერ გააკეთებდა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენს ვლაპარაკობთ და ამდენი იწერება პრესაში, ეს ქალი შეუპოვრად აგრძელებს თავისას. სანიკიძე პრესასთან ურთიერთობაზე არ გამოდის, ამბობს, რომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ უკვე ხმამაღლა ვამბობ, მისი მინისტრობის დღეები დათვლილია, რადგანაც შეუძლებელია, ნეპოტიზმმა ამ დონეს მიაღწიოს და უსასრულოდ იყოს, უბრალოდ, მისი გადაყენება დროის ამბავია. ვიცი, რომ პარლამენტიდან განათლების კომიტეტმაც მიმართა სანიკიძეს და მოსთხოვა, რომ მინისტრმა წარმოადგინოს არგუმენტირებული ინფორმაცია, ესა თუ ის დირექტორი რა ნიშნით დაიწუნეს, რატომ დანიშნეს კონკრეტული დირექტორი და საინტერესოა, რა არგუმენტი ექნება მინისტრს ამასთან დაკავშირებით? მოკლედ, პარლამენტი ჩაერთო ამ საკითხში და ვნახოთ, რა იქნება.

კანდიდატს, ამ სერტიფიცირებული კანდიდატებიდან არც ერთი არ წარადგინა სამინისტრომ და ბოლოს რეალურად სკოლაში წარადგინეს მხოლოდ ორი კანდიდატი, აქედან ერთს, თავიდანვე ჩანდა, რომ არავინ აირჩევდა, ეს გახლდათ ლარისა მელაძე. მეორეს რაც შეეხება, ეს გახლდათ გიგაურის ფავორიტი ლილია გეონჯიანი.

**— რა კავშირში არიან გიგაური და ეს კანდიდატი ერთმანეთთან?**

– ჯერ კიდევ „ნაციონალების“ დროს, როცა „ნაციონალებისთვის“ ასევე ძალზე ახლობელი გიგაური 165-ე სკოლის დირექტორი გახლდათ, იქ გეონჯიანი იყო ბუღალტერი. ამ სკოლაში ისევ ნაციონალების დროს შევიდა განათლების სამინისტროს აუდიტი, რომელსაც შიდა აუდიტი ჰქვია, და ამ სკოლის ინსპექტირების შედეგად უამრავი დარღვევა იქნა აღმოჩენილი. მაგალითად, 2009-10 წლების მანძილზე პედაგოგების ხელფასები ანგარიშდებოდა და გაიცემოდა არასწორად. არსებობს ტარიფიკაციის დოკუმენტი, სადაც გაწერილია, ვის რამდენი სტაჟი აქვს მუშაობის, ვის რა გამოცდილება აქვს, ამის მიხედვით დგება კოეფიციენტი და იწერება ფული. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს კოეფიციენტები იყო არასწორად მითითებული და მთელი ქაოსი იყო მასწავლებლების ხელფასების გაცემისას. აუდიტმა მიიღო დასკვნა და მიმართა სამეურვეო საბჭოს ... დროიდან მოძებნეს ერთმანეთი, ეგ არ ვიცი, მაგრამ ამჟამად მეგობრები არიან, საერთოდ, სამინისტროში ნეპოტიზმის ნიშნით უამრავი დაასაქმა მინისტრმა.

**— მოდით, თემას დავუბრუნდეთ.**

– მოკლედ, დეპარტამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში გიგაურმა უმუშევრად დარჩენილი გეონჯიანი ჯერ გადმოაყვანინა ისანი-სამგორის რესურსცენტრის ბუღალტრად და პარალელურად, კიდევ მოუნახა ახალი ადგილი, ესაა 53-ე სკოლის ბუღალტრობა შეთავსებით. ანუ, გამოდის, რომ გიგაურისა და სანიკიძის დუეტი უკვე მერამდენედ არღვევენ კანონს, რომლის მიხედვითაც ეკრძალება ჩინოვნიკს, ერთდროულად ორ საჯარო სამსახურში იყოს დასაქმებული. ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია 39-ე სკოლიდან, რომ გიგაური და სამინისტროს მაღალჩინოსნები ახორციელებენ ზარებს 39-ე სკოლის დირექციაში, რომ არ შეუშალოთ ხელი გეონჯიანის არჩევას, ყველა ღონე იხმარეთ, რომ ეს ადამიანი აირჩიოს სამეურვეო საბჭომ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტრო ისევე, როგორც სხვა სკოლებში, აქაც გამოიყენებს თავის დისკრეციულ უფლებას და მაინც გეონჯიანს დანიშნავს დირექტორად და მერე უკვე თქვენზე გადატყდება ჯოხიო. ამ სკოლამ ვერ გაუძლო ზეწოლას და სამეურვეო საბჭომ აირჩია სკოლის დირექტორად ეს ყოფილი ბუღალტერი. სანიკიძე ყველაფრის ავანჩავანი და

**კომენტარისთვის დავუკავშირდით განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს, ნატა ასათიანს:**

– რაც შეეხება ნეპოტიზმს, რა თქმა უნდა, მსგავსი დირექტივა არ ყოფილა და არავის არც ერთ სკოლაში რა დაურეკავს, მით უმეტეს მინისტრსა და მის რომელიმე მოადგილეს. ყველა ეტაპზე გასაუბრებაში ჩართულები იყვნენ კვალიფიციური გარე ექსპერტები, რომლებსაც შეგვიძლია მოვკითხოთ, თუკი სადმე დაირღვა კანონი და სადმე ნეპოტიზმს ჰქონდა ადგილი, ეს ერთმნიშვნელოვნად გამორიცხულია. გიგაური და სანიკიძე მუშაობენ ერთ უწყებაში და მათი აზრი შესაძლოა, ბევრ საკითხში ერთმანეთს დაემთხვეს და, ვისაც აქვს პრეტენზია, რომ კომისიამ დაჩაგრა, ვთხოვ გაასაჯაროონ საკუთარი გასაუბრების ვიდეოჩანაწერი.

**დიდი ძიების შემდეგ მივაგენით ლარისა მელაძეს:**

– სკოლაში არჩევნებზე წასვლისას დილით ჩემთან შემოვიდა ანონიმური ზარი, ირონიით მახარეს და მომილოცეს, რომ მე მივიღებდი ერთ ხმას.

**— რა ნომრიდან იყო ზარი?**

– დაფარული ნომრიდან და ასეთი მილოცვით გამაცილეს, ასეც მოხდა – მივიღე მხოლოდ ერთი ხმა. არადა, ორჯერ შევხვდი მანამდე კოლექტივს და ძალიან დადებითად მიმიღეს, მაგრამ არჩევნებზე მოხდა ასე. ალბათ, წინასწარი სამუშაო ჩატარებული იყო.

**— რას გულისხმობთ?**

– რას და ამ ქალბატონმა საერთოდ არ იცოდა სკოლის მუშაობა, ეკონომისტად არის ნამუშევარი. მართალია, სკოლის დირექტორი მენეჯერი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს სასწავლო პროცესი უნდა მართოს და რამდენადაც ვიცი, პრიორიტეტულად არ მიაჩნია სასწავლო პროცესის მართვა და კითხვები გამოიჩნდა, რადგანაც ეჭვით ვუყურებ ამ ყველაფერს.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ლილოში დაცვის პოლიციამ ქურდობის ფაქტზე 16 და 18 წლის გოგონები დააკავა



სავაჭრო ცენტრ „ლილო მოლში“ დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა ქურდობის ფაქტი გამოავლინეს.

დაცვის პოლიციის სამსახურის ინფორმაციით, დაცვის პოლიციის წარმომადგენლებს ინდმეწარმეებმა შეატყობინეს, რომ სალაროდან თანხა დაკარგეს. გარეგნული აღწერილობის მიხედვით ეჭვმიტანილი ორი ქალბატონი მოლის ტერიტორიაზე შეაჩერეს. ეჭვმიტანილები: ელენე პ. (დაბ. 1996წ, მცხოვრ. ქ. თბილისი, ვარკეთილის I მკ/რ) და ნინო კ. (დაბ. 1998წ, მცხ. ქ. თბილისი, ვარკეთილი 3) წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოვაჭრეებს სალაროდან თანხას ჰპარავდნენ.

დაცვის პოლიციის თანამშრომლების მიერ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დამატებითი გარემოებების შესასწავლად გამოძახებული იქნენ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები. დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს. (ივერიონი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### თენგიზ ფხალაძისთვის ბიძინა ივანიშვილის განცხადება გაუგებარია



პრეზიდენტის მრჩევლის თენგიზ ფხალაძისთვის გაუგებარია ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ „პრეზიდენტი სასაცილო მდგომარეობაშია“.

მისი თქმით, „საქართველოს პრეზიდენტს არაერთი ვიზიტი აქვს განხორციელებული როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში და აქედან მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე მიუღია ქვეყანას“.

შეგახსენებთ, რომ ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ამბიციებს ულვივებენ და სასაცილო მდგომარეობაში ვარდება“. (ფრონტნიუსი)

### ფოთში საქორწილო მაყარი დააჯარიმეს



ფოთში საქორწილო მაყარის დაჯარიმების მიზეზი საშიში მანევრირება გახდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ახალგაზრდები ფოთის ცენტრალური სარკინიგზო სადგურის წინ მდებარე ტერიტორიაზე მანქანებით საშიშ მანევრებს აკეთებდნენ, რაც მათსა და სხვა მოქალაქეებს ზიანს მოუტანდა, ამდენად, პოლიციამ ისინი 127-ე – მანევრირების წესების დარღვევის მუხლით დააჯარიმა.

სამოყვარულო კამერით გადაღებული ვიდეო ინტერნეტპორტალებზე გავრცელდა. კადრებში ჩანს, რომ ნეფე-პატარძალი ცეკვავს და ირგვლივ მობილიზებულია საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK






# „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი აქციებისთვის ემზადება და ბიძინა ივანიშვილს მიმართავს

15 სექტემბერს, ქუთაისის პარლამენტის შენობიდან თბილისის პარლამენტის მიმართულებით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით, აქცია-მსვლელობა დაიწყო. მსვლელობის იდეა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ თავმჯდომარეს, მერაბ შათირიშვილს ეკუთვნის. მისი ინიციატივით, 2011 წელს, ქუთაისიდან თბილისამდე, კერძოდ, გელათიდან სამებამდე, სოსო ჯაჭვლიანთან და ლუკა კურტანიძესთან ერთად, ერთხელ უკვე მოაწყო მსვლელობა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით. ახლა კი მერაბ შათირიშვილი ბიძინა ივანიშვილს, როგორც მოქალაქეს, სთხოვს, მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ ინიციატივას.

**მსვლელობასთან დაკავშირებულ დეტალებზე „ალიას“ მერაბ შათირიშვილი ესაუბრა:**

– აქცია ჩავატარეთ პარლამენტის წინ. ასევე, მინიმიტინგები ჩავატარეთ ქუთაისის ცენტრში. დღის განმავლობაში დაახლოებით 500-დან 800 ადამიანამდე შევხვდით.

**— რა განწყობაა ხალხში?**

– აბსოლუტურად იგივე, რაც ჩვენს მოძრაობაშია. საზოგადოებისგან სწორი შეფასებები მივიღეთ, ფიქრობენ, რომ მართლაც პოლიტიკურ ჩიხში ვართ და უნდა გაიგოს ხელისუფლებამ, რომ სხვა წამალი უნდა ხალხს, ვითარება უნდა შეიცვალოს. მინდა, ექსკლუზიურად თქვენს გაზეთს ვუთხრა, რომ ჩვენს მოთხოვნას კიდევ ერთი მოთხოვნა დაემატა, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, აუცილებელია ჩატარდეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. არჩევნები უნდა ჩატარდეს ერთდროულად. ეს გამოიწვია პრეზიდენტისა და პარლამენტის, პრეზიდენტისა და პრემიერის კინკლაობამ, იმან, რომ მთავრობა ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა, პარლამენტი რას ჰგავს, ამას მთელი ქვეყანა ხედავს.

ბიძინამ აღიარა, რომ შეეშალა, როცა პრეზიდენტად მარგველაშვილი აგვარჩევინა. ასევე, ვიცი, რომ ივანიშვილს არ მოსწონს პარლამენტი. მან ეს განცხადება უნდა გააკეთოს და ჩვენს მოთხოვნებს დაეთანხმოს, როგორც მოქალაქე და არა, როგორც პოლიტიკოსი. მასზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მას შეუძლია, ყველაფერი გამოასწოროს. მისი ამ განცხადების შედეგად, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ჩიხში შევა, მაგრამ ძალიან მალე გამოვა, თუკი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება. მხოლოდ ასე თუ მოიხსნის ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. ამის მერე ის, ვერც და არც დაასახელებს პრეზიდენტობის კანდიდატს, დეპუტატობის კანდიდატებს და ა.შ.

**— ბატონო მერაბ, რამდენი ადამიანი მონაწილეობს მსვლელობაში და თუ გიერთდებათ ხალხი გზადაგზა?**

– ქუთაისში ადგილობრივები დაგვხვდნენ, ჩვენთვის სრულიად უცნობი ადამიანები. მათ ჰქონდათ სურვილი, შემოგვერთებოდნენ მსვლელობისას, მაგრამ თავი შევიკავეთ.

**— რა მიზეზით?**

– მსვლელობის დაწყებამდე მივმართეთ ხელისუფლებას, რომ ჩვენი ფეხით მსვლელობა უსაფრთხოების მიზნით გაეკონტროლებინათ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგს ვერ ვხედავთ. ამიტომ თავს ვიკავებთ, რომ უცნობები შემოგვიერთდნენ. არ ვიცით, რა პროვოკაციასთან გვექნება საქმე. ვინც ვართ ძირითადად, ეს 16 ადამიანი მოვდივართ ფეხით.

**— ვინ არის ეს 16 ადამიანი, საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები არიან?**

– (ჩაეცინა) როგორი აქტუალური გახდა ეს შეკითხვა... ჩვენ ცნობადობა-არაცნობადობაზე არ ვაპელირებთ, ამ ცნობადებმა დაღუპეს ქვეყანა! ეს ცნობადები არიან, რომ ვერ გაიგებ, ვის ნავში სხედან და მერე სად გადასხდებიან ხოლმე. ჩვენთან ერთადაა ციური მჭედლიძე – მომღერალი, ნინო ნაკვეთაური – მხატვარი, ასევე ჩვენთან ერთადაა 6 ვაჟის დედა თინა კოლხიდაშვილი... დაახლოებით ასეთი ხალხი.

**— რას ელოდებით ამ მსვლელობით, ფიქრობთ, რამე შედეგს მიიღებთ?**

– არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯერ მათგან ველოდებით განცხადებებს. ასევე, რიგი პოლიტიკური პარტიებიც გააკეთებენ განცხადებებს. იმედი გვაქვს, პოლიტიკური პარტიებიც შეიგნებენ, რომ საზოგადოების მოთხოვნებს შეუერთდნენ. ჩვენ 23 სექტემბერს, 5 საათზე ველოდებით ჩვენი მოთხოვნების მობილიზებას და თუ ეს არ მოხდება, გეუბნებით, ეს ყველაფერი, რაც ქვეყანაში ხდება, მალე დამთავრდება.

**— როგორ გეგმავთ ამ ყველაფრის „დამთავრებას“? თქვენ მიერ დაგეგმილმა აქტივობებმა თუ შედეგი არ გამოიღო, რა იქნება შემდეგი ნაბიჯი?**

– ჩვენი შვიდდღიანი მსვლელობა ერთგვარი ტესტია, გიჟები კი არ ვართ?! ჩვენ ვსწავლობთ საზოგადოებრივ განწყობებს, გვაინტერესებს, რომელი გარე პოლიტიკური ძალა რას ფიქრობს, რას ფიქრობს უმრავლესობა. ჩვენ, ამ მსვლელობის შედეგად, პასუხს მივიღებთ ყველაფერზე.

**— ბატონო მერაბ, დაახლოებით ორი წლის წინათ, ამჟამინდელი ხელისუფლების ლიდერის მხარდასაჭერად გააკეთეთ ის, რასაც ახლა აკეთებთ. თუ შეგეხმიანათ ხელისუფლებიდან ვინმე?**

– ჩვენ მაშინ ვითხოვდით, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობა მიენიჭებინათ. თუ მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ ვეუბნებოდით, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობა დაებრუნებინა. ახლა ბატონ ბიძინას ვეუბნებით, ხართ თანახმა, ქვეყანაში სიტუაცია გამოსწორდეს? ჩვენი მოძრაობა ამ კითხვის პასუხს დაელოდება. ხელისუფლებიდან არავინ შემხმიანებია, თუმცა, არის თანხვედრები. მაგალითად, მურმან დუმბაძემ, მთელი თავისი ცხოვრება ოპოზიციაში გაატარა, დღეს ნეპოტიზმში სდებენ ბრალს. სხვისკენ და საკუთარი თავებისკენ გაიხედონ და იქ ნახონ ნეპოტიზმი! ბატონი ბიძინას ავტორიტეტით რომ წამოყელყელავდნენ. ნეპოტიზმი კობახიძისკენ, კალაძისკენ ნახონ...

ერთ ამბავს მოგიყვებით. მე, სოსო ჯაჭვლიანი, რეზო ესაძე, ნონა გაფრინდაშვილი და ლუკა კურტანიძე, როცა ბიძინა ივანიშვილს შევხვდით, მაშინ დუმბაძეზე ასეთი რამ თქვა ივანიშვილმა: მურმან დუმბაძის წინააღმდეგები კი არიან „რესპუბლიკელები“, მაგრამ იმდენად მომწონს, უნდა მოვიყვანო ხელისუფლებაშიო. ამ შეხვედრის შემდეგ, შემთხვევით მურმან დუმბაძეს შევხვდი, შესაძლოა, მას სხვა განზრახვები ჰქონდა, მაგრამ, როცა ბიძინას ნათქვამი გადავეცი, ის დაელოდა მას. მაგრამ, როგორც ჩანს, „რესპუბლიკელებმა“ მიაღწიეს თავიანთ მიზანს და ეს კაცი მოაშორეს უმრავლესობას. მურმანს კი არ ვიცავ, მურმანს რომ რაღაცებს ედავებიან, ირგვლივ მიმოიხედონ, რას აკეთებენ.

**— ბატონო მერაბ, ხომ არ ვიხილავთ ოპოზიციაში გადასულ მურმან დუმბაძეს თქვენს მოძრაობაში?**

– ვერ გეტყვით. ერთი ვიცი, მურმან დუმბაძემ დააანონსა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობა. ასევე, სოსო ჯაჭვლიანმა გააჟღერა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ამ აზრზეა დიმიტრი ლორთქიფანიძე, ნიშნიანიძე... არის ეს ხალხი და, ალბათ, არ იუარებენ ამას და დადგებიან თავიანთ პოზიციაზე, იმიტომ, რომ მათი განცხადებები ხალხმა უკვე მოისმინა. „ალიას“ მეშვეობით პირობას ვდებ, რომ „მოძრაობა ახალი რეალობისთვის“ პოლიტიკურ მოძრაობად არ გადაიქცევა. ეს იქნება საზოგადოებრივი მოძრაობა მუდმივად, თუ, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ მოძრაობას არსებობა უწერია ამ ქვეყანაში. სამოქალაქო საზოგადოების დასუსტებაც და გაძლიერებაც ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ის, რასაც ჩვენ მივეცით ხელისუფლებას ნებით, ძალით წამოსაღებად არ უნდა გაგვიხადონ, თორემ, თუ საზოგადოება გაერთიანდა, მერე – მრავალწერტილი...

დიანა ლიპარტელიანი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნატოს ქვეყნებმა კიევისთვის იარაღის მიწოდება დაიწყეს



უკრაინის თავდაცვის მინისტრის ვალერი გელეტეის განცხადებით, ნატოს ქვეყნებმა კიევისთვის იარაღის გადაცემის პროცესი დაიწყეს.

„მიმდინარეობს იარაღის გადაცემის პროცესი, რომელიც პუტინს შეაჩერებს. ეს პროცესი დაიწყო და ვგრძნობ, რომ ეს სწორედ ის გზაა, რომლითაც უნდა ვიაროთ“, – აღნიშნა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა.

7 სექტემბერს უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა იური ლუცენკომ განაცხადა, რომ ნატოს 4-5 სექტემბრის სამიტზე მიღწეულია შეთანხმებები უკრაინისთვის სამხედრო მრჩეველებისა და იარაღის მოწოდების შესახებ აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან და ნორვეგიიდან. თუმცა, მოგვიანებით, პოლონეთის, იტალიისა და ნორვეგიის თავდაცვის უწყებებმა უარყვეს გავრცელებული ინფორმაცია, უკრაინისთვის იარაღის გადაცემის შესახებ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბანკსა და მერიას შორის დადებული ხელშეკრულებები გასაჯაროვდა



ბანკსა და თბილისის მერიას შორის დადებული სადავო ხელშეკრულებები გასაჯაროვდა. მმართველი გუნდი „ლიბერთი ბანკსა“ და მერიის ყოფილ მაღალჩინოსნებს შესაძლო კორუფციულ გარიგებაში ადანაშაულებს. როგორც ჯაბა სამუშია აცხადებს, ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით დედაქალაქის ბიუჯეტმა 10 მილიონი ლარი იზარალა: „საქმე გვაქვს უფლებამოსილების გადაჭარბებასთან მერიის მაღალჩინოსნების მხრიდან, რომლებმაც კონკურსის ჩაუტარებლად გადაწყვიტეს, რომ ხელშეკრულებაში შეეტანათ გარკვეული ცვლილებები“.

ბრალდებებს აბსურდულს უწოდებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები. საკრებულოს წევრის, ირაკლი აბესაძის განმარტებით:

„ეს არის დავით ნარმანიას ისტერიული შოუ, იმისთვის რომ გადაფაროს პირველად სეკვესტრირებული თბილისის ბიუჯეტი, მის მიერ გაცემული შეუსრულებელი დაპირებები, თუმცა მას ეს ნამდვილად არ გამოუვა. მას ნამდვილად მოუწევს, პასუხი გასცეს პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს, რატომ ამბობს უარს, შესთავაზოს მათ უფასო მგზავრობა, რატომ არ ზრდის კომუნალურ ვაუჩერს“, – აცხადებს აბესაძე. (news.ge)

## თავდასხმა 15 ლარისთვის

საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, გვიან ღამით თავს დაესხნენ. არსებული ინფორმაციით, თავდამსხმელებმა დაზარალებულს პირზე ბალიში დააფარეს და მუქარის შედეგად 15 ლარი წაართვეს. 48 წლის მამაკაცი მარტო ცხოვრობს, ის სოციალურად დაუცველია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დამნაშავე უკვე დაკავებულია. (ნიუპოსტი)

## „ან თქვას, რომ იცრუა! ან აღიაროს, რომ შეეშალა წამყვანის გვარი!“ — ნანუკა ჟორჟოლიანი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას პასუხობს



ნანუკა ჟორჟოლიანი სოციალურ ქსელში ბიძინა ივანიშვილის განცხადების საპასუხოდ საგანგებო მიმართვას ავრცელებს.

– არ მგონია, შეშლოდა ჩემი გვარი! კარგად უნდა იცოდეს! არაერთხელ შემოუთვლია მადლობა ბერას გადაცემაზე (ბერამ გადმომცა პირადად) (რამდენჯერმე ირაკლიმაც მითხრა ღარიბაშვილმაც!) და უთქვამს, რომ ჩემს გადაცემაში ბერას პირველი გამოჩენა სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო (ესეც ღარიბაშვილისგან ვიცი)! ბიძინას სავარაუდო წამყვანობაზე არც ერთ „ნანუკას შოუში“ არ მისაუბრია! ან თქვას, რომ იცრუა! ისევე როგორც ბევრი რამ! ან აღიაროს, რომ შეეშალა წამყვანის გვარი!

P.S. პოსტი დავდე ფბ-ზე და გავიგე „ჯიდიესის“ თანამშრომლებისგან, რომლებიც მარწმუნებდნენ, რა მაგარი არხი ხდებოდა „ჯიდიესი“ იმიტომ, რომ იქ ბიძინა გადაცემას იწყებდა და უფრო მეტიც! ისიც კი მითხრეს, რა ერქმეოდა გადაცემას! სტუდიაც კი, სავარაუდოდ, როგორი იქნებოდა!!! – წერს ჟორჟოლიანი.

*cp.ge*

## მარიამ საჯაია: „ივანიშვილს ჩვენი აზროვნებაც არ მოსწონს, საერთოდ რომ ვარსებობთ, ეგეც არ მოსწონს“



საპარლამენტო უმცირესობის წევრი მარიამ საჯაია სოციალური ქსელის მეშვეობით ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს გამოეხმაურა.

– იმას ის არ მოსწონს, რომ „მიჭირხვნის“ ნაცვლად „მიჯირყვნას“ ვამბობთ... თან აქეთ მთლიანად რიტორიკის შეცვლასაც გვთხოვს, ჩვენი აზროვნებაც არ მოსწონს, საერთოდ რომ ვარსებობთ, ეგეც არ მოსწონს და... „აღგვგავეთ პირისაგან მიწისა!“ მადლობა, ბატონო ბიძინა, – წერს მარიამ საჯაია.

ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი მედიას იწუნებს და მისი სიტყვების მიზანმიმართულ დამახინჯებაზე მიუთითებს.

– ოდესღაც მე გამოვიყენე სიტყვა „მიჭირხვნა“ და ჟურნალისტებმა გაიგეს „მიჯირყვნა“. მას შემდეგ ორჯერ განვმარტე, რომ გამოვიყენე „მიჭირხვნა“, მაგრამ დღესაც ჟურნალისტების დიდი ნაწილი „მიჯირყვნას“ იყენებს. აი, ეს არის დღევანდელი მედია. არ იცოდნენ სიტყვა „მიჭირხვნა“. გაიგეს, მაგრამ იმავეს აგრძელებენ. უფრო ზუსტად, არ გაიგეს, არ უნდათ, გაიგონ – ეს მედიის დიდ ნაწილს ეხება. არ იფიქროთ, რომ თუნდაც ეს განმარტებაც უშველის საქმეს, ისევ გააგრძელებენ იმავეს, – აღნიშნა ივანიშვილმა.

*newposts.ge*

## ეკო ფანგანი: „ცოდოა, ვინც ჩემი და გიორგი აბაშიძის უაზრო ისტორია ააგორა“



– საიდან დავიწყო, აღარ ვიცი. ყოველთვის ვერიდები ჟურნალისტებზე რაღაცის დაწერას, თითქმის ყველა მეგობრებში მყავს და ბევრ მათგანს დიდ პატივს ვცემ, როგორც ჟურნალისტსა და ადამიანს. მაგრამ უკვე ყელში ამოვიდა ჟურნალისტების დიდი ჯგუფის არაპროფესიონალიზმი და, უკაცრავად და, სიბანძე! (უწიგნურობაზე, გაუნათლებლობაზე და ელემენტარული გრამატიკის არ ცოდნაზე აღარ ვლაპარაკობ) მეგობრების პირადი ფოტოალბომებიდან ამოღებული ფოტოებით საკუთარი მწირი ფანტაზიით შექმნილი ისტორიების გამოქვეყნება, მეტყველებს ამ ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმზე და ის გვერდები კი, სადაც ეს გადაუმოწმებელი ინფორმაცია იბეჭდება, არის ყოვლად შეუმდგარი საცოდავი ვითომ მედია სივრცე!

მართლა ცოდოა ყველა, ვინც ჩემი და გიორგი აბაშიძის უაზრო ისტორია თავისით ააგორა, მეც და გიორგისაც რაღაცები მოგვაკერა და ამდენი თვეა იმეორებს! ფოტო გადაღებულია გაზაფხულზე ჩვენი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე!! მას მერე არც მინახავს გიორგი აბაშიძე, თუმცა ბავშვობიდან ვმეგობრობ, რადგან ძალიან ადრე მამაჩემი რამდენიმე წელი აჭარაში მოღვაწეობდა! გასაგებია?! თქვენ ხომ არაფერი გაგეგებათ ჟურნალისტობის და იმას მაინც მიხვდით, რომ თქვენი ბანძი ჭორების გამო, სხვა ადამიანებს, შეიძლება, ზიანი მიადგეს, მაგრამ ამდენი აზროვნების უნარი ვის აქვს!! ყველას, ვინც ამ პოსტს თავის თავზე მიიღებს, წარმატებებს ვისურვებ! – წერს „ფეისბუკზე“ ფანგანი.

*newposts.ge*

## რა აკავშირებთ ანა მარგველაშვილსა და კესარია აბრამიძეს



პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ქალიშვილი ბოლო პერიოდში ბევრჯერ მოექცა ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ.

ამჯერად სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ანა მარგველაშვილი კესარია აბრამიძესთან ერთადაა გადაღებული.

ფოტოს კესარია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე ავრცელებს.

როგორც ცნობილია, კესარიასა და ანა მარგველაშვილს ბევრი საერთო მეგობარი ჰყავთ. ფოტო საერთო მეგობრების ერთ-ერთი შეკრების დროს არის გადაღებული.

*newposts.ge*

## მარიამ როინიშვილის დიეტა — „ეს ის დიეტა არაა, რომელიც მშიერს დაგტოვებს“



მომღერალ მარიამ როინიშვილზე ვერასდროს ვიტყოდით, რომ მსუქანია, მაგრამ მომღერალმა გადაწყვიტა, დიეტოლოგ ნატა გაგუას რჩევებით დაეკლო წონაში და სასურველ შედეგსაც მიაღწია:

– წონაში დაკლება ინდივიდუალურია. შემიძლია, ვთქვა, რომ დღეში ოთხჯერ ვიკვებები. ადრე ვწონიდი, რასაც ვჭამდი. ახლა აღარც ვწონი, რადგან უკვე თვალით ვხვდები, რა რამდენია... ჩემთვის საკმაოდ ადვილი გასაკეთებელი ამოჩნდა ეს დიეტა: რძის ნაწარმი, ხორცი, ხილი, ბოსტნეული... ყველაფერი დოზირებულად, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ის დიეტა არაა, რომელიც მშიერს დაგტოვებს... არის ისეთი პროდუქტები, რასაც აღარ ვჭამ, მაგალითად, კარტოფილი, რომელიც ძალიან მიყვარს... და არის რაღაცები, რაც არ შეიძლება მისი კალორიულობის გამო... მაგრამ იმდენად მრავალფეროვანია, ჩემი თუნდაც ერთკვირიანი დიეტა, რომ საერთოდ არ მახსენდება ის აკრძალული საკვები. დღეში დაახლოებით, ალბათ, 800-დან 900-მდე კალორიას ვიღებ.

*reitingi.ge*

## თაკო გაჩეჩილაძე „ფეისბუკს“ ტოვებს — „არ ვარ შიშველი, ამ ფოტოებში ბიუსტჰალტერი მაცვია...“



სოციალურ ქსელში თაკო გაჩეჩილაძემ ძალიან ლამაზი ფოტოსესია გამოაქვეყნდა, სადაც ერთი შეხედვით ჩანდა, რომ მომღერალი წელს ზევით შიშველი იყო.

ფოტოებმა ყველა ინტერნეტპორტალი მოიარა და თაკომ ხალხის აღფრთოვანება გამოიწვია. მოგვიანებით მომღერალმა დაწერა, რომ „ფეისბუკს“ აუქმებდა, რაზეც ჟურნალისტებმა ჩათვალეს, რომ თაკომ ეს გადაწყვეტილება სურათების გამოქვეყნებით გამოწვეული რეაქციის გამო მიიღო.

რაზეც მომღერალმა კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა.

– რაღაც სისულელეებს ნუ იგონებთ, „ძვირფასო ჟურნალისტებო“. თითქოს რაღაცის გამო ვშლი „ფეისბუკს“. მომბეზრდა და მარტო ეს არის მიზეზი. და კიდევ, რაც მთავარია, რაოდენ გასაკვირიც არ ინდა იყოს, არ ვარ შიშველი ამ ფოტოებში. ბიუსტჰალტერი მაცვია. იმედია, ახლა თქვენც დაწყნარდებით და დანარჩენებიც... – წერს თაკო.

*reitingi.ge*

## რა საზიზღრობებს წერენ ია ფარულავას მეუღლეზე



მსახიობი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე მისი ოჯახის არაკეთილისმსურველებს აფრთხილებს.

– უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ქმარი მყავს და ტარიელის ინბოქსში არ წყდება საზიზღარი მესიჯები (ნუ, ქალებიც ხომ წერენ და წერენ, ეპრანჭებიან), მაგრამ ეს კაცებიიიი...... არა, ისე არ გაიგოთ :)))) ისეთებს წერენ ჩემზე, რომ კიდევ კარგ ჭკუაზეა ეს კაცი... ყველაზე მაგარი ის არის, რომ ფილარმონიის წინ დაუთქვამს შეხვედრას და არავინ მოდის... მერე ამან თავ-ყბა რომ გაუერთიანოს ვინმეს, ხომ იქნებიან ღირსები!!!!! (ნაზი მუზიკანტი არ გეგონოთ, ყოფილი ბოქსიორია), – წერს მსახიობი.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



სვანი შეყვარებულთან ერთად პარკშია ჩამომჯდარი, ხელზე ეფერება. მოულოდნელად გოგო ეუბნება:
– უი, როგორი ოფლიანი ხელი გაქვს?!
– ეგ რა არის, შენ ფეხები უნდა ნახო!..

*****

– აჰა, ესეც საჯდომიიი! – გახარებულმა წამოიძახა თავგადასავალმა...

*****

– ალო, ეს უშიშროების ანონიმური ნდობის ტელეფონია?
– კი, კონსტანტინე!..

*****

ქმარი ცოლს:
– ჩემს პერანგებს როდის გარეცხავ?
– და იქნებ შენ თვითონ გაგერეცხა?!
– რატომ, რეცხვა ხომ ქალის საქმეა?
– ჰოო? იცი, რას გეტყვი? მე ფემინისტი გავხდი და მიმაჩნია, რომ მამაკაცები და ქალები თანასწორები არიან. ჰოდა, მინდა შესაბამისად მომექცე!!!
– კარგი – ადექი მაშინ, როიალი მაქვს მეორე სართულზე ასატანი!.

*****



სამი ძმაკაცი საუბრობს.
პირველი ამბობს:
– ჩემს ცოლს იმხელა მკერდი აქვს, დედამიწის ზურგზე მეორე მისნაირი არ მეგულება!
მეორე:
– რას ამბობ, ჩემსას იმხელა მკერდი აქვს, ბალიში აღარ მჭირდება, მის მკერდზე ვდებ ხოლმე თავს!!
მესამე:
– ჩემს ცოლს ცისფერი თვალები აქვს...
– ეგ რა შუაშია?!
– დანარჩენი სულ მკერდი აქვს!!!

*****

– ყველას გილოცავთ დღევანდელ დღეს!
– და რა დღეა რო?
– ინვალიდების დღე!
– და ყველას რატომ გვილოცავ?
– აბა, მითხარი – შეგიძლია, სახლი იყიდო?
– არა.
– და იმ მანქანას იყიდი, რომელიც ყველაზე ძალიან მოგწონს?
– ვერა!
– რატომ?
– რა გითხრა, ჩემი შესაძლებლობები ხომ იცი, არა?
– ჰოდა, მეც მანდა ვარ – დღეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დღეა. გილოცავ, ჩემო სამშობლოვ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საუცხოო საჩუქრები



„ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება“, რომ ამბობენ, ვაი და კარიესი და ღრძილების ანთება აქვს, ცხენი იქნება ის თუ სიამის კატა, საჩუქრისთვის დამატებითი ხარჯების გაღება როგორი საქმეა? ამის მიუხედავად, თუნდაც უმნიშვნელო საჩუქარი ადამიანს გულს მაინც უხარებს და უნათებს, რადგან გრძნობს, რომ ის ვიღაცას ახსოვს, ყურადღებას აქცევს და ზედმეტი ბარგი არ არის. ამასთანავე, იყვნენ, არიან და ალბათ, იქნებიან კიდეც ისეთი იღბლიანი ადამიანები, რომლებსაც ყველაზე საუცხოო, დიდებული და მშვენიერი საჩუქრები აქვთ მიღებული და ჩვენც სწორედ ასეთებზე მოგითხრობთ:

– ცნობილმა მსახიობმა რიჩარდ ბარტონმა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს თავის რჩეულს, ულამაზეს ელისაბედ ტეილორს 70-კარატიანი ბრილიანტი აჩუქა. ცოტა არ იყოს, უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ, როგორც ამბობენ, 70-კარატიანი ბრილიანტი არც ისე ბევრია, მაგრამ ის იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ წლებია, დავიწყებას კიდევ არ მიეცა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ფაქტმა თუ ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი, რომ ბარტონი აღმოჩნდა ერთადერთი მამაკაცი, რომელსაც ტეილორი ცოლად ორჯერ გაჰყვა.

– ძალიან რომანტიკული მამაკაცი ყოფილა გასული საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი ბეისბოლისტი ჯო დი მაჯიო, რომელიც თავის შეყვარებულს, ყველა დროის ულამაზეს ქალს მერილინ მონროს ვარდების უზარმაზარ თაიგულს ყოველდღე ჩუქნიდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როცა წყვილი ერთმანეთს დაშორდა. მონროს გარდაცვალების შემდეგ, დი მაჯიოს ვარდები უკვე მის საფლავთან მიჰქონდა და ამ შემთხვევაშიც, ყოველდღე.



– ამბობენ, ბანკების ცნობილმა მძარცველმა კლაიდმა, რომელზეც ჰოლივუდში არაერთი ფილმია გადაღებული, თავის შეყვარებულ კლაიდს 2 მილიონ დოლარად შეფასებული კაქტუსების პლანტაცია აჩუქა, რომელსაც ტეკილას წარმოებისთვის იყენებდნენ. დღემდე ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამერიკაში არსებობს უზარმაზარი პლანტაცია, რომლის მფლობელი თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ბოროტმოქმედი ქალი იყო.

– პარიზის ერთ-ერთი საროსკიპოს მომხიბვლელმა მეძავმა საჩუქრად პატარა კოლოფი მიიღო, რომლის ავტორიც სთხოვდა, რომ შიგთავსი მთელი ცხოვრება შეენახა. საჩუქრის გახსნისთანავე მეძავს გული წაუვიდა, რადგან კლიენტს ვან გოგი ერქვა, კოლოფში კი მისი ყური იდო.

– საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV მეუღლეს დაახლოებით 1500 მეტრის სიგრძის მქონე სიასამურის მანტო აჩუქა, რათა დილაადრიან ამდგარი საწოლიდან ბაღში ფეხშველა გასულიყო და სამეფო ფეხები არ დაეშავებინა.

– მარკუს ანტონიუსის მიერ კლეოპატრასთვის ნაჩუქარი მარგალიტი ღვინოში დღემდე აღინიშნება არაერთ წიგნში, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუცხოო საჩუქარი.



როგორც ჩანს, მარკუს ანტონიუსს იმდენად ძლიერად სურდა კლეოპატრას გულის მოგება, რომ ყველაზე უჩვეულო ექსპერიმენტებზეც კი მიდიოდა – მან შეიძინა იმ დროისთვის ყველაზე ლამაზი და ძვირფასი მარგალიტი, ჩადო ღვინით სავსე ბოკალში და დედოფალს ისიც შესთავაზა, თუკი საჩუქარი არ მოგეწონება, შეგიძლია, ზღვაში გადააგდოო.

– რეიტინგის მეორე ადგილზე მართლაც შთამბეჭდავი საჩუქარია, რომელიც მილიარდერმა არისტოტელე ონასისმა შეიძინა. საქმე ეხება მორიელების კუნძულს, რომლის შეძენაზეც ის ბავშვობიდან ოცნებობდა. მიუხედავად იმისა, რომ მორიელების კუნძული ონასისის სანუკვარი ოცნება გახლდათ, ამ ფაქტს სულაც არ შეუშლია ხელი მისთვის, რომ უზარმაზარი მიწის ნაკვეთი საყვარელი ჟაკლინ კენედისთვის ეჩუქებინა. წყვილის ქორწილი სწორედ ამ კუნძულზე გაიმართა.

– აი, მოვადექით რეიტინგის პირველი პოზიციის მფლობელს, რომელსაც ტაჯ-მაჰალი ეწოდება და რომელიც უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც კაცობრიობის თვალსა და გულს ახარებს.

ისტორიის მიხედვით, ეს არქიტექტურული შედევრი ჯაჰან შაჰის შეკვეთით საყვარელი ცოლისთვის აშენდა. კერძოდ, მავზოლეუმი მეუღლეს, ზღაპრული სილამაზის მქონე მუმთაზ მაჰალის ხსოვნას მიეძღვნა. შაჰ ჯაჰანი ჯერ კიდევ პრინცი იყო, როცა XVI საუკუნეში 19 წლის გოგონაზე დაქორწინდა. ახალგაზრდა წყვილს უსაზღვროდ უყვარდა ერთმანეთი. მიუხედავად იმისა, რომ შაჰ ჯაჰანს, ისევე როგორც ნებისმიერ აღმოსავლელ მმართველს უზარმაზარი ჰარემი ჰქონდა, ის იმდენად იყო შეყვარებული თავის ახალგაზრდა მეუღლეზე, რომ სხვა ქალებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. საყვარელმა ცოლმა შაჰ ჯაჰანს 8 ვაჟი და 6 ქალიშვილი აჩუქა, მაგრამ მე-14 შვილის გაჩენის შემდეგ მზეთუნახავი მუმთაზი გარდაიცვალა. შაჰ ჯაჰანი იმდენად უბედური იყო, რომ თავის მოკვლაზეც კი ფიქრობდა. ცოლის სასიკვდილო სარეცელთან სულთანი ერთბაშად გაჭაღარავდა და მალე ქვეყანაში ორწლიანი გლოვა გამოაცხადა, რომლის დროსაც აიკრძალა ზეიმები, ცეკვა და მუსიკა. მოგვიანებით აგრაში, რომელიც იმ დროს მონგოლების იმპერიის დედაქალაქი იყო, მუმთაზის საფლავზე აღიმართა მავზოლეუმი, რომელიც შაჰ ჯაჰანის ჩანაფიქრის მიხედვით მისი გარდაცვლილი მეუღლის ზღაპრული სილამაზის სიმბოლო უნდა გამხდარიყო.



ტაჯ-მაჰალის აგების პროცესი დაახლოებით 20 წელს გაგრძელდა. მშენებლობაში 20 ათასამდე ხელოსანი მონაწილეობდა, რომლებიც თითქმის მთელი მსოფლიოდან იყვნენ მიწვეულები.

***libo.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## მიდიები — საუკეთესო საშუალება ქალის ლიბიდოს ასამაღლებლად

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფარმაცევტებს უკვე რამდენჯერმე ჩაუფლავდათ ხანგრძლივი სამუშაოები, რომლის მიზანიც ქალის „ვიაგრას“ შექმნა იყო. ესპანელი მეცნიერები კი ამბობენ, რომ მსგავსი პრეპარატების შექმნის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, რადგან ქალის ლიბიდოს ამაღლება არაერთი ნატურალური და გაცილებით ეფექტური გზითაც შეიძლება.

მაგალითად, მშვენიერ სქესში სექსუალური სურვილების გამძაფრება ზღვის პროდუქტებს, პირველ რიგში კი – მიდიებს შეუძლია.

ესპანელები გვიხსნიან: მიდიები მდიდარია ამინომჟავებით, რომელსაც დიდი რაოდენობით სქესობრივი ჰორმონების გამომუშავება შეუძლია. ამასთანავე, აღნიშნული პროდუქტით პოტენციას გაიუმჯობესებენ მამაკაცებიც, თუმცა განსაკუთრებული გავლენის მოხდენა მას მაინც მშვენიერ სქესზე შეძლებია.

***glamur.ucoz.net***

## ავსტრალიელმა მძღოლმა მსოფლიოს ყველაზე დიდი კლდე ვერ შეამჩნია და...



ზოგიერთებს სწყინთ ხოლმე, ნასვამობის გამო რომ აჯარიმებენ, მაგრამ, როცა საქმე დაუდევარ და დაუფიქრებელ ადამიანს ეხება, ის ჯარიმაზე მეტსაც იმსახურებს.

აბა, გაგონილა, ისე გამოთვრე, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი კლდე ვერ შეამჩნიო და ასეთი ადამიანი დაჯარიმებას არ იმსახურებს?!

შეგახსენებთ, რომ კლდე ულური ავსტრალიაში მდებარეობს. მისი ასაკი დაახლოებით 680 მილიონი წელია, აი, სიმაღლე კი – 348 მეტრი.

ავსტრალიური მედიის ინფორმაციით, სწორედ ულურუს შეეჯახა 44 წლის მძღოლი, რომელიც იმდენად იყო ალკოჰოლისგან გამობრუჟული, რომ უზარმაზარი დაბრკოლება ვერ შეამჩნია.

რა ჰქვია ალკოჰოლიკ ავსტრალიელს, არ ზუსტდება და დიდი მნიშვნელობა არც აქვს. სამაგიეროდ, ის არის ცნობილი, რომ იგი დაკავებულია და მინიმუმ სოლიდური ჯარიმა არ ასცდება.

***rbc.ua***

## ერთი ბოთლი ვისკი 100 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა




ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ცნობილმა შოტლანდიურმა კომპანიამ „ვაით ენდ მაკეიმ“, რომლის ინფორმაციითაც, 64-წლიანი დაძველების მქონე ორი ბოთლი „დელმორ ტრინიტესი“ 100-100 ათას ფუნტ სტერლინგად (დაახლოებით 158 ათას აშშ დოლარად) გაყიდა.

ცნობილია, რომ კომპანიის არსებობის მანძილზე აღნიშნული მარკის ვისკი სულ სამ ბოთლშია ჩამოსხმული.

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ვისკის მფლობელები ინდური წარმომავლობის მქონე ბიზნესმენები მაჰეშ პატელი და სიკჰინდერ სინგჰი გახდნენ, რომელთაგან პირველი ამერიკაში დეველოპერულ კომპანიას უდგას სათავეში და ამასთანავე, ცნობილია, როგორც უიშვიათესი მარკის ვისკის კოლექციონერი, მეორე კი ლონდონის ბირჟაზე ერთ-ერთი საბროკერო კომისიის მმართველია.

***americaru.com***

»» მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. შრომის მოწონების შეძახილი
2. გამოსამარგლი ბალახი
3. სამოსი ფიგურის კორექციისათვის
4. ქალაქი კანადაში
5. „ილიადა“ ავტორი
6. მსახიობი ... გიბსონი
7. ძაღლის ჯიში
8. მხატვარი რაფაელ ...
9. აბზინდის არაყი
10. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
11. ქვეითი ჯარისკაცი ოსმალეთში
12. მორებით შეკრული ტრანსპორტი
13. ცხიმოვანი სიმსივნე
14. ხის ჯიში
15. ლონდონის ცენტრი
16. მსახიობი ... აბაშიძე
17. მულტფილმი „... დამაცადე“
18. მომღერალი ... მორისეტი
19. ფოლგა
20. კომპოზიტორი არამ ...
21. ლერწმის ასაღები დანა
22. სამხედრო წოდება
23. სოფელი ოზურგ. რაიონში
24. მწვერვალი კავკასიონზე
25. მხ/ფ „ქრისტეს ...“
26. ნათება ანგელოზის თავზე
27. „მისტერ ... საავადმყოფოში“
28. მხედველობა
29. კონტინენტი
30. კლდიაშვილი. „... დედინაცვალი“
31. ველური ცხენი
32. ნახშირმჟავას მარილი
33. თევზის ჯიში
34. წყალქვეშა კლდე
35. მევიოლინე ვანესა ...
36. მხატვარი სანდრო ...
37. ხაფანგი
38. ზამბახი
39. სახელმწ. ...-ფასო
40. თეთრგვარდიელი გენერალი
41. ნიშნავს ცივს
42. ისტორიული ქალაქი პერუში
43. მოქანდაკე ... ჩელინი
44. მომღერალი ... დიასამიძე
45. ინგლისელი პოეტი
46. თხის ტყავის ქურქელი
47. მსახიობი ... პაპასი
48. გოია. შიშველი ...
49. ქვეყნის მატიანე
50. დიოგენეს „სახლი“
51. იაპონელი განგსტერი
52. სოფელი საგარეჯოს რაიონში
53. ... ქმედების კოეფიციენტი
54. ჯიქანი
55. ნადირობის ქალღმერთი
56. მხატვარი ... ჯაფარიძე
57. მწერალი ... გარიყული
58. მსახიობი ... ჰათაუეი
59. რბილი ლითონი
60. ტროა ბერძნულად
61. ოპერა „... ცბიერი“
62. ქალაქი იაპონიაში
63. მსახიობი მერილინ ...
64. ალიყური
65. მდინარე აღმ. საქართ.
66. ილია ჭავჭავაძის პოემა
67. ბუჩქი. ამზადებენ ფხალს
68. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
69. ცხენბურთი
70. ორგანო მუცლის ღრუში
71. ზღვის ფრინველის სკორე
72. მთა აფრიკაში
73. მსახიობი ნიკო ...
74. ქიმიური ელემენტი
75. წყვილი ერთიანი ნარდში
76. წყლის საღებავი
77. თაგვის სადგომი
78. დღის დასაწყისი
79. მსახ. ... ქავჟარაძე
80. ბოსტნეული
81. წელიწადის დღეები ფურცელზე
82. პირველი სამნიშნა რიცხვი
83. ... მარაბდელი
84. წნევის საზომი ხელსაწყო
85. ფლოტის მეთაური
86. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
87. „პარმის სავანე“ ავტორი
88. თამაში ვოლანით
89. ელვის ... პრესლი
90. საგალობელი ...-მარია
91. კუნძული ატლანტის ოკეანეში
92. მომღერალი ... ჯაგერი
93. იყო ... როსტევან
94. უძველესი კოლხეთი
95. ... გათეთრდების ყორანი
96. მოდელი ... კემპბელი
97. მდინარე ჩინეთში
98. მოთიბული გამხმარი ბალახი
99. პატარა მდინარე
100. ნიშნავს ქვას
101. ფიზიკოსი მაქს ...
102. კავშირებითი სიტყვა
103. ძლიერი ქარი
104. ვერცხლისწყლის ნაერთი ლითონთან
105. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
106. რეჟისორი ... ჰოვარდი
107. ძველებური ფირსაკრავი
108. დიდი საჯარისო შენაერთი
109. ნაბიჯი ბალეტში
110. გემის მზარეული
111. ალბანეთის დედაქალაქი
112. მსახიობი ... სორვინო
113. უქორწინო თუთიყუში
114. ფალიაშვილის ოპერა
115. გემების სარემონტო ადგილი
116. პატარა ტანის ძაღლი
117. უნგრელი კომპოზიტორი
118. გიორგი, იგივე ... ლეონიძე
119. თვალის ფერადი გარსის ანთება
120. პატარა არია
121. ინსტიტუტის მოსწავლე
122. ქალაქი რუსეთში
123. რეჟისორი ... მურატოვა
124. მისი დედაქალაქია ოტავა
125. თევზის ძვალი
126. პოეტი ... ბარტო
127. ჯგუფის მოწინავე ადამიანი
128. კავშირებითი სიტყვა
129. ჭრილობა
130. სახოტბო ლექსი
131. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
132. ... გაფრინდაშვილი
133. მომლოცველი
134. სხივი. ჭრის ლითონს
135. ბგერის გრაფიკ. გამოსახ.
136. ხურდის მოსაგროვებელი ნივთი
137. ესპანეთის დედაქალაქი
138. მსახ. ... გარდნერი
139. ... ბურთი და ... მოედანი
140. ტაბლეტი
141. მსახიობი ... პაჩინო
142. მწერალი კობო ...
143. მსახიობი ... პარიიო
144. თვალის გუგა
145. მტაცებელი ფრინველი

პასუხები: 1. ბარაქალა; 2. სარეველა; 3. კორსეტი; 4. მონრეალი; 5. ჰომეროსი; 6. მელ; 7. როტვეილერი; 8. სანტი; 9. აბსენთი; 10. პლატონი; 11. იანიჩარი; 12. ტივი; 13. თია; 14. აკაცია; 15. სიტი; 16. ლეილა; 17. აბა; 18. ალანის; 19. კილიტა; 20. ხაჩატურიანი; 21. მაჩეტე; 22. ეფრეიტორი; 23. ნასაკირალი; 24. იალბუზი; 25. ვნებანი; 27. პიტკინი; 28. ჩინი; 29. აფრიკა; 30. სამანიშვილის; 31. მუსტანგი; 32. კარბონატი; 33. მინტაი; 34. რიფი; 35. მეი; 36. ბოტიჩელი; 37. მახე; 38. ირისი; 39. ბურკინა; 40. ვრანგელი; 41. კრიო; 42. კუსკო; 43. ბენვენუტო; 44. ნიაზ; 45. ბაირონი; 46. ტიკი; 47. ირენ; 48. მახა; 49. ისტორია; 50. კასრი; 51. იაკუძა; 52. უჯარმა; 53. მარგი; 54. ცური; 55. დიანა; 56. უჩა; 57. მარიამ; 58. ენ; 59. კალა; 60. ილიონი; 61. დარეჯან; 62. ნაგანო; 63. მონრო; 64. სილა; 65. ალგეთი; 66. „განდეგილი“; 67. ეკალა; 68. ნაგომარი; 69. პოლო; 70. ელენთა; 71. გუანო; 72. კილიმანჯარო; 73. გომელაური; 74. ირიდიუმი; 75. იაგანი; 76. აკვარელი; 77. სორო; 78. დილა; 79. ლიკა; 80. ბოლოკი; 81. კალენდარი; 82. ათასი; 83. არსენა; 84. მანომეტრი; 85. ადმირალი; 86. ათი; 87. სტენდალი; 88. ბადმინტონი; 89. აარონ; 90. ავე; 91. გრენლანდია; 92. მიკ; 93. არაბეთს; 94. აია; 95. არ; 96. ნაომი; 97. იანძი; 98. თივა; 99. ნაკადული; 100. ლითი; 101. პლანკი; 102. რომ; 103. გრიგალი; 104. ამალგამა; 105. ამერიგო; 106. რონ; 107. რადიოლა; 108. არმია; 109. პა; 110. კოკი; 111. ტირანა; 112. მირა; 113. არა; 114. „დაისი“; 115. დოკი; 116. ფინია; 117. ლისტი; 118. გოგლა; 119. ირიტი; 120. არიოზო; 121. სტუდენტი; 122. ტულა; 123. კირა; 124. კანადა; 125. ფხა; 126. აგნია; 127. ლიდერი; 128. და; 129. იარა; 130. ოდა; 131. სერ; 132. ნონა; 133. პილიგრიმი; 134. ლაზერი; 135. ასო; 136. ყულაბა; 137. მადრიდი; 138. ავა; 139. ჰა; 140. აბი; 141. ალ; 142. აბე; 143. ან; 144. ბაია; 145. ორბი. იკითხება: ქვევრი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე ნატო დგებუაძე, შვილები ბაგრატი, ნინო და ანა ჩალიგავები, დები დარეჯან და ხათუნა ჩალიგავები, დისშვილები ნათია, სოფო და ანტონ ოდიშარიები, ნანა, გვანცა, თინიკო და თორნიკე კიკალიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თემურ ბაგრატის ძე ჩალიგავა**

**პანაშვიდი:** სამშაბათსა და ოთხშაბათს, 16 და 17 სექტემბერს;
**გამოსვენება:** 18 სექტემბერს, 14:00 საათზე;
**მისამართი:** დიდი დიღომი, მე-3 მკ/რ, მე-8 კორპუსი, I სადარბაზო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## გერმანელ მამაკაცს სასამართლომ... სიცილი აუკრძალა



პრაქტიკულად, ნებისმიერ ადამიანს უყვარს გულიანად სიცილი, თუმცა ბევრს, ალბათ, არ შეუძლია სხვისი ხორხოცის მოსმენა, მით უმეტეს, როცა საქმე უმიზეზო მხიარულებას ეხება.

ცხოვრობს, თურმე, გერმანიაში 54 წლის ბუღალტერი, ვინმე ჰოახიმ ბაჰრენფელდი, რომელსაც სტრესის მოსახსნელად საკმაოდ ორიგინალური, მაგრამ ამასთანავე, უცნაური ხერხი მოუგონია – დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ის ყოველ საღამოს პარკში მიდიოდა, სადაც ჯდებოდა და მთელი ძალით, მთელი ხმით და არსებით ხარხარებდა.

– ეს მე ძალიან მჭირდება, როგორც ჰაერი, საჭმელი და წყალი. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, როცა ვიცინი, – ასეთი ჩვენება მისცა გერმანელმა ბუღალტერმა სასამართლოს, მაგრამ რად გინდათ, ვინ მოუსმინა – მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ მას უმიზეზო სიცილისთვის თავი უნდა დაენებებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯარიმის სახით 7 ათასი ევროს გადახდა დაეკისრებოდა, ან კიდევ, 6 თვით პატიმრობა შეეფარდებოდა...

თურმე, ერთ დღეს, ჰოაკიმ ბაჰრენფელდის ხორხოცი პარკში მისულ სხვა დამსვენებლებს გაუგიათ, რომლებსაც სიჩუმე და სიმშვიდე სურდათ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მათ მამაკაცისთვის გაჩუმება ეთხოვათ, ადგნენ და პირდაპირ სასამართლოში გაცვივდნენ, სადაც რა გადაწყვეტილებაც გამოიტანეს, კი გითხარით უკვე.

– ახლა რაღა მეშველება, არ ვიცი, თუმცა პატიმრობასა და ჯარიმას ისევ გაჩუმება მირჩევნია, – მოწყენილმა დატოვა შეუბრალებელი სასამართლო მხიარულმა გერმანელმა.

ასეთი ინტრიგანი ადამიანებით რომაა სავსე მსოფლიო, იმიტომ ვართ კარგად!..

*rokf.ru*

## შეიძინეთ სოფელი 40 ადგილობრივთან ერთად



გადაიღალეთ ქალაქის გადარეული ცხოვრებისგან და რიტმისგან და ჯიბეც არც თუ გამოსუფთავებული გაქვთ? ძალიან გაგიმართლათ, რადგან გაქვთ უნიკალური შანსი, შეიძინოთ სოფელი ახალ ზელანდიაში, რომელსაც მოჰყვება ლუდის ბარი, რკინიგზის სადგური და 40 ადგილობრივი მოსახლეც კი.

სოფელს სახელად ოტირა ეწოდება და 715 მილიონი აშშ დოლარი ღირს.

სოფელი, რომლის ისტორიაც 1923 წლიდან იღებს სათავეს, 1998 წელს ამერიკელ ბიზნესმენებს, ბილ და კრისტინ ჰენებს შეუძენიათ, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო, მათ ქონების გაყიდვა და ოტირას აუქციონზე გატანა გადაწყვიტეს, რომელიც უახლოეს მომავალში ჩატარდება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*thebytes.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 სექტემბერი:** თქვენს კეთილდღეობაში საუკეთესო ინვესტიცია თქვენივე უანგარობა იქნება. შეიძლება სამაგიერო უმალვე არ მიიღოთ, მაგრამ აუცილებლად დაგიბრუნდებათ.

**კურო 22.04-21.05**
**16 სექტემბერი:** კარგი იქნება, თუ განმარტოებას შეძლებთ და არსებულ სიტუაციას გააანალიზებთ. შეიძლება ის ხარვეზები აღმოაჩინოთ, რომელიც წინსვლაში ხელს გიშლით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 სექტემბერი:** ყური მიუგდეთ მეგობრებისა და ნაცნობების აზრს, მაგრამ ამავე დროს გააკონტროლეთ, რომ მათმა რჩევებმა თქვენი აზრები არ გადაფარონ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 სექტემბერი:** თუ გაიგეთ ისეთი რამე, რაც საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, არ ნიშნავს, რომ ეს ამბავი მთელ ქვეყანას უნდა მოსდოთ. რაც მეტს ილაპარაკებთ, მით უფრო ინანებთ ამის გამო.

**ლომი 23.07-22.08**
**16 სექტემბერი:** არის ალბათობა, რომ დღეს ვიღაცის ეჭვიანობის საბაბი გახდეთ. შეეცადეთ, მის მსხვერპლადაც არ იქცეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 სექტემბერი:** ყოველთვის ვერ მოიგებთ, თუმცა დღეს უსამართლოდ წაგების გრძნობასთან შეგუება მოგიწევთ. დამშვიდდით, ეს თქვენი იმედების მსხვრევას არ ნიშნავს.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 სექტემბერი:** საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც ცდილობთ, ბოლო მომენტში ახალ პრობლემას გიქმნით. დაელაპარაკეთ საქმეში ჩახედულ ადამიანებს, თორემ ძალიან გაწვალდებით.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 სექტემბერი:** შეიძლება დღეიდან მოვლენები ისე განვითარდეს, რომ ამა თუ იმ საკითხების გადასაწყვეტად ცოდნა აღარ გეყოთ. ახალი უნარები უნდა აითვისოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 სექტემბერი:** შესაძლოა, დღეს დანაშაულის გრძნობამ შეგაწუხოთ, თუმცა თქვენ არაფერ შუაში ხართ. ეს ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. ფრთხილად იყავით, ვინმე კისერზე არ წამოგაჯდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 სექტემბერი:** დღეს გარშემომყოფთათვის პოპულარულ ენაზე მოგიწევთ საკმაოდ რთული და მათთვის გაუგებარი საკითხების ახსნა. ერთს თუ მაინც გააგებინებთ, დიდი მიღწევა იქნება.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 სექტემბერი:** ადვილი შესაძლებელია, დღეს წარმოსახვა გაგიმძაფრდეთ და ათასი რამ მოგეჩვენოთ. ნერვებს ნუ დაიწყვეტთ, დამშვიდდით და რეალობას დაუბრუნდით.

**თევზები 19.02-20.03**
**16 სექტემბერი:** ეს დღე შეგახსენებთ მეგობრების არსებობას და იმას, რამდენად გჭირდებიან ისინი. მიზეზების ძებნას ნუ დაიწყებთ, შეეხმიანეთ და მოინახულეთ ისინი.

## გერმანელმა მეცნიერებმა „ჭკვიანი სკამი“ გამოიგონეს



ხანგრძლივი ჯდომის შედეგად ზურგში გაჩენილი ტკივილის დასამარცხებლად გერმანელმა მეცნიერებმა გამოიგონეს „ჭკვიანი სკამი“, რომელიც პატრონს მართლაც უდიდეს დახმარებას აღმოუჩენს.

კერძოდ, როგორც კი სკამი „იგრძნობს“, რომ ადამიანი მოუხერხებელ პოზაში ზის, რომელიც მას უსიამოვნებას მოჰგვრის, მაშინვე აძლევს ნიშანს, რომ მდგომარეობა შეიცვალოს.

ამ საინტერესო გამოგონების ავტორთა განმარტებით, სკამის დასაჯდომ ნაწილსა და საზურგეზე დამონტაჟებულია ოთხოთხი ზემგრძნობიარე სენსორი, რომლებიც განსაზღვრავენ, რა პოზა უნდა შეარჩიოს ადამიანმა, რომ სამომავლოდ ტკივილებისგან და ჩივილებისგან არ გაიტანჯოს.

– ინფორმაცია, რომელსაც სკამი ამუშავებს, „ბლუთუსის“ მოდულის მეშვეობით ადამიანს კომპიუტერზე ავტომატურად გადაეცემა, – განმარტავენ სკამის მუშაობის პრინციპს გერმანელი გამომგონებლები.

მათივე თქმით, სკამი განკუთვნილია ძირითადად, ადამიანების იმ კატეგორიისთვის, რომელიც მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებს, თუმცა მისი მომხმარებელთა რიგები გაცილებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იქნება.

რა ღირს გერმანელების „ჭკვიანი სკამი“ ან სად შეიძლება მისი შეძენა, სამწუხაროდ, ინფორმაცია არ ზუსტდება.

*news.yahoo.com*

## ფილტვის კიბოს დიაგნოზის დასმა ლოყების ფერის მიხედვით მოხერხდება?



ფილტვის კიბოს გამოვლენის რევოლუციური მეთოდი შეიმუშავეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომელიც საშუალებას იძლევა, ეს უმძიმესი დაავადება ლოყების ფერის მიხედვით განისაზღვროს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ამერიკელებმა გამოიგონეს მოწყობილობა, სახელწოდებით „პარციარული სხივური სპექტროსკოპიული მიკროსკოპია“ და რამდენადაც რთულია მისი სახელი, იმდენად ადვილია პრაქტიკაში გამოყენება.

კერძოდ, კვლევის დროს საჭიროა მოწყობილობის სინათლის პაციენტის ლოყისკენ მიშვება.

სიახლის ავტორთა მტკიცებით, მათი მოწყობილობა თითქმის 100-პროცენტიან დიაგნოზს სვამს და რაც მთავარია, უმოკლეს დროში.

კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ფილტვის კიბოს მქონე პაციენტებში ქრომატინის მომატებული გავრცელება შეინიშნება, სწორედ იმ ნივთიერების, რომლითაც ლოყაზე განლაგებული ქრომოსომები იკვებებიან.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*medicine.newsru.com*



– მამიკო, ბებია დებილია?!
– რა სისულელეს ამბობ, ბიჭო?!
– აბა, რა ვიცი, რამდენიც მასთან მივდივარ, სულ უცნაური ღიმილით მეგებება ხოლმე და სულ იმას კითხულობს: „ეს ვინ მოსულა ჩვენთან?“

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»211359457

დამფუძნებელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალმასიანის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.10